ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2018 №295 (7840) ფასი: 60 თეთრი

გვ.3

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ 400 თანამშრომელი იძულებით შვებულებაში გაუშვა

13 დეკემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი

ირმა ინაშვილმა ნიკა მელიაზე გაინწია

„მის ცემას არ ვაპირებდი, ქალი ვარ და კაცზე არასდროს ავწევ ხელს“

„გამოგიყვანოთ, გაგანგრიოთ და მოგკლათ, თუ რა გაგიკეთოთ?!“

გვ.2

გაუყინავს თუ არა ვაშინგტონი ივანიშვილს ანგარიშებს

ბეჟან ნათელაშვილი: „ამერიკა რომ არა, რუსეთი ისე გადაგვყლაპავდა, როგორც ლუარსაბი ბოზბაშის ნაჭერს“

გვ.5

გვ.3

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს უმუშევრობა ემუქრებათ

ლიკა საჯაია: „ახალი კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე ირანის 7 მოქალაქე პასუხისგებაში მისცა

გვ.5

სამართალი

გვ.7

თათია სამხარაძემ შალვა რამიშვილს სექსუალური შევიწროების საქმე სააპელაციოშიც მოუგო

ბუკა ქუთელია: „ოქრო მე ვიპოვე. გათხრის დროს წერაქვი მოხვდა ქოთანს და გასკდა“

ვინ ემუქრება მესაფლავეებს

ეკონომიკა

გვ.6

„მიდგომა, რომ უცხოელები და ქართველები საკუთრების უფლებასთან მიმართებაში თანაბარუფლებიანები არიან, მართალი არ არის“



ლუდი „ყაზბეგი“ შესაძლოა, გაიყიდოს

„თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის კუთხით დაწესებული რეგულაციები ტელეკომპანიების მხრიდან არ სრულდება“

ISSN 1987-9385

3 რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები შეეცდებიან, 16 დეკემბერს დიდი ქულები ჩაიწეროონ“

4 „ქართული მიწის უცხოელებზე რეგისტრაციის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება“

2 მირიან მირიანაშვილი: „საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩის დაბლოკვა რუსეთის აჩემებაა“

4 მამუკა კაციტაძე: „ოცნებას“ საარჩევნო სისტემა უნდა შევაცვლევინოთ“

ირმა ინაშვილმა ნიკა მელიაზე გაიწია

„მის ცემას არ ვაპირებდი, ქალი ვარ და კაცზე არასდროს ავწევ ხელს“

„გამოგიყვანოთ, გაგანგრიოთ და მოგკლათ, თუ რა გაგიკეთოთ?!“

შორენა მარსაგიშვილი

ბევრი რამის მომსწრეა საქართველოს საკანონმდებლო ორგანო. იყო დრო, აქ დეპუტატები ერთმანეთს კასტეტებს და საფერფლეებს ურტყამდნენ, მაგრამ ჯერ ისტორიას არ ახსოვს, ქალ დეპუტატს კოლეგა მამაკაცზე გაეწია.

გუშინ, 12 ნოემბერს, ეს ნავსი გატყდა – პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა ნაციონალ ნიკა მელიაზე გაიწია.

მანდატურების მკვირცხლი ქმედება რომ არა, მელიას, შესაძლოა, ხელიც მოხვედროდა. მელია ინაშვილს კი გადაურჩა, მაგრამ მუშტი მაინც მოხვდა. თავი მეოცნებე ზაზა პაპუაშვილმა გამოიჩინა – მან უკნიდან თავში ნაზად ჩასცხო ოპოზიციონერ კოლეგას.

ხელ-ფეხის გაქნევა ემზარ კვიციანსაც სურდა, მაგრამ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი კოლეგებმა კარგად შებოჭეს. შებოჭილი კვიციანი იძულებული გახდა, აღშფოთება მხოლოდ სიტყვიერად გამოეხატა.

აღსანიშნავია ერთი დეტალი – დეკემბრის თვეში ნიკა მელია ძალიან უცნაურად იქცევა. წელიწადის ამ დროს მას ოპონენტები იოლად გამოჰყავს წყობილებიდან. გასული წლის დეკემბერში მან თავზე კონტროლი მაშინდელ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს დააკარგვინა.

ისე გამოიყვანა კაცი წყობილებიდან, რომ პრემიერმა მინისტრების, დეპუტატების და მედიის თვალწინ ოპოზიციონერს კეთილები აგინა. კეთილებში ნავარდი მას ძვირად დაუჯდა და რამდენიმე თვეში ის ივანიშვილმა მთავრობიდან მოკვეთა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ინაშვილიც მელიამ გამოიყვანა წყობილებიდან. ვიცე-სპიკერი სიტყვით გამოდიოდა პლენარულ სხდომაზე, მოუსვენარი კოლეგა კი მას რაღაც რეპლიკებს ესროდა.

რამდენიმე რეპლიკა ინაშვილმა გაატარა, მერე ნერვები მოეშალა და მართლა ქორივით ჩაუქროლა მელიას.

– ერთხელ ჩხუბი ჯობია, მართლა უნდა დაგილეწოთ თავ-ყბა, – დაჰკივლა ინაშვილმა მელიას, რომელიც თავისი სკამიდან არც კი წამომდგარა და უცოდველი კრავის სახით ათვალიერებდა მომხდურს.

მისმა ცინიკურმა სიმშვიდემ ინაშვილი კიდევ უფრო გააცეცხლა. მან კოლეგას ფურცლები მიაყარა და გარეთ გასვლისკენ მოუწოდა.

მელია გარეთ მართლა გავიდა. სწორედ ამ დროს ჩასცხო მას თავში ხელი პაპუაშვილმა. პარლამენტის სპიკერის ბრძანებით, მელიას პარლამენტის სხდომათა დარბაზის კარი ჩაუკეტეს და აღარ უშვებდნენ.

ინაშვილის მელიას სამყოფელთან ჩაქროლებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სოციალური ქსელები კინაღამ დაინგრა – საქართველო იუწყებოდა, რომ ქალმა დეპუტატმა კაცზე გაიწია.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი იძულებული გახდა, ახსნა-განმარტებები გაეკეთებინა. ინაშვილი ამბობს, რომ ის ქალია და კაცზე არავითარ შემთხვევაში არ აღმართავს ხელს.

მისი თქმით, პარლამენტის სხდომათა დარბაზში მომხდარი დაპირისპირებისას დეპუტატ ნიკა მელიასთან იმიტომ მივიდა, რომ მიკროფონიდან მის მოწოდებას, განცხადების გაკეთების საშუალება მიეცა, არ ისმენდა. ინაშვილმა ისიც განმარტა, თუ რატომ სთხოვდა გარეთ გამოსვლას კოლეგას.

– მივედი ნიკა მელიასთან, რადგან მიკროფონიდან არ ისმენდა, რასაც ვეუბნებოდი, რომ მოეცა საშუალება ჩემი მოხსენება დამემთავრებინა. მივედი და პირადად ვეუბნებოდი, რომ პატივი ეცა საკუთარი თავისთვის და გაჩუმებულიყო და დამშვიდებულიყო, მოეცა საშუალება, დამემთავრებინა ჩემი განცხადება.

როდესაც ვუთხარი, გამოდი გარეთ-მეთქი, სიმართლე გითხრათ, ვეპატიჟებოდი ამ შენობაში, ჩემს კაბინეტში, მეოთხე სართულზე და პირისპირ მინდოდა საუბარი. უტრირება, რომ მე ნიკა მელია უნდა მეცემა, უხერხულია ამ თემაზე საუბარი, მე ვარ ქალი და კაცზე არასდროს ავწევ ხელს, – განაცხადა ინაშვილმა.

გაწევ-გამოწევას ნაციონალური მოძრაობაც გამოეხმაურა.

– ის ძალადობა, რასაც მანამდე ხელისუფლება ახალისებდა, ახლა უკვე ეს ძალადობა გადმოიტანეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში. ეს ასახავს იმ ლეგიტიმაციის კრიზისს, რაც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს.

როცა პარლამენტის წევრი მეორე პარლამენტის წევრს ეპარება უკნიდან, როგორც ეს გააკეთა ზაზა პაპუაშვილმა, მიეპარა ნიკა მელიას უკნიდან და ცდილობს, რომ მას ზურგში ჩაარტყას და ამას უყურებს პარლამენტის თავმჯდომარე ტრიბუნიდან და არ აჩერებს ამას, რა თქმა უნდა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ წინასაარჩევნო ძალადობაც, არჩევნების დღეს განხორციელებული ძალადობაც, ის, რომ ადამიანი გარდაიცვალა, ის რომ ერთი ჯერ კიდევ სიკვდილს ებრძვის რეანიმაციაში, ის რომ იყო უმოწყალოდ ნაცემი ადამიანები ახალქალაქში, ეს ყველაფერი იყო პირდაპირ ხელისუფლების მიერ დაორგანიზებული, – განაცხადა დეპუტატმა თინა ბოკუჩავამ.

მისი კოლეგა სალომე სამადაშვილის განცხადებით კი, 12 დეკემბერს განვითარებული მოვლენები ადასტურებს ხელისუფლების მიერ დაწყებულ იმ კამპანიას, რომელიც ოპოზიციის დევნას უკავშირდება.

თავისი პოზიცია დააფიქსირა მეოცნებე ნუკრი ქანთარიამაც. მან ნიკა მელიას შვილოთი მიმართა და გაზის დაწევისკენ მოუწოდა.

– ცოტა გაზს დაუწიე, შვილო. თქვენი ბელადი იქიდან გმოძღვრავთ, თავები გაიტეხეთ თქვენო და თვითონ სკაიპით ძალიან უყვარს საქართველო. იმ თქვენს ბელადს უთხარით, რომ თუ ასეთი რევოლუციონერი და ასეთი მაგარია, ლენინმა პარიკი დაიხურა და რუსეთში სხვისი პასპორტით ჩავიდა. ასევე გააკეთოს და ჩამოვიდეს, მაგრამ მანაც კარგად იცის, უპირველეს ყოვლისა, თქვენ მოკიდებთ და მატროსოვამდე ყვავილებით მიიყვანთ. ვითარება ასეთია და რაც არ უნდა იქნიოთ ხელი, ეს უნდა დამთავრდეს, წერტილი დაესვას და თქვენ სახელი დაგერქვათ, – უთხრა ქანთარიამ ნაცმოძრაობის წევრებს.

განცხადება უკნიდან მუშტის ჩარტყმის ოსტატმაც გააკეთა. ზაზა პაპუაშვილი ნაციონალებს ავისმომასწავებლად ჩაეკითხა, რა გინდათ, რომ გიქნათო.

– შთაბეჭდილება რომ არ დარჩეს ვინმეს ისეთი, კარგად განვმარტოთ, რა როგორ არის. არავის არ სჭირდება სწავლა, რომ ნებისმიერი კრიტიკული აზრი უნდა მოისმინო. ძალიან უხერხული მდგომარეობა იქმნება.

სიმართლე გითხრათ, 54 წლის კაცი დავიბენი, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ, სადამდე მიდიხართ ამ პროვოკაციით, რა უნდა მოაწყოთ, რომ გადიხართ და ხელებს იშვერთ. ორი საათი ვუსმენ კაცს, რომელიც ყეფდა, რაებს არ იძახდა, რას არ აკეთებდა, პასუხიც არ უნდა გავცეთ?! რა უნდა გავაკეთოთ, გამოგიყვანოთ, გაგანგრიოთ და მოგკლათ, თუ რა გაგიკეთოთ, გამაგებინეთ, – იკითხა ზაზა პაპუაშვილმა.

მირიან მირიანაშვილი: „საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩის დაბლოკვა რუსეთის აჩემებაა“

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში არმოვლინება დიდი ხანია გახდა მითქმა-მოთქმის საბაბი. ამჯერად ხმაური გამოიწვია ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ელჩის კანდიდატურა, ბრიჯიტ ბრინკი მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლებისათვის. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

– იმაზე, რომ აშშ-ის სენატიდან გაითხოვეს საქართველოში აშშ-ის ელჩის კანდიდატურა, ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში განვუცხადეთ „ახალ თაობას“. მაშინ საუბარი არ ყოფილა იმაზე, რომ ელჩობის კანდიდატს საქართველო ბლოკავდა.

– მაშინ, მართლაც გავახმიანე ეს ინფორმაცია. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ მაშინვე ვიცოდი, მაგრამ ვერ ვთქვი. ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ხელთ არსებული მონაცემები, ფაქტობრივად, ექსკლუზიურია.

– ამის ნამდვილი მიზეზი იცით? სააკაშვილთან ბრიჯიტ ბრინკის ახლო თანამშრომლობა, რაც სახელდება, ნაკლებად დამაჯერებელია.

– რასაკვირველია. ეს აბსურდული მიზეზია. რა გამოდის? აშშ იმდენად ახლოსაა საქართველოს ექსპრეზიდენტთან, რომ საქართველოში ელჩად მასთან დაახლოებულ დიპლომატს აგზავნის? 2012 წელს ქალბატონმა ბრინკმა წვლილი შეიტანა სააკაშვილის რეჟიმის მშვიდობიანად შეცვლაში.

– სინამდვილეში, აშშ სააკაშვილთან არ კონტაქტობს და არც ბრიჯიტ ბრინკია მისი მომხრე?

– არამარტო სააკაშვილს აქვს კომუნიკაციის პრობლემა ვაშინგტონთან, ამავეს განიცდიან მისი გუნდელები ნაცმოძრაობიდან და „ევროპული საქართველოდან“. ვერც ნაციონალები და ვერც გიგა ბოკერია ვერ ახერხებენ საქართველოში მყოფ დასავლეთის სახელმწიფოების ელჩებთან შეხვედრას. დასავლეთში ამ ხალხს არ ენდობიან. არც ბიძინა ივანიშვილს აქვს კომუნიკაცია დასავლეთის ოფიციალურ პირებთან. „ოცნების“ ხელისუფლება იმდენად არაკომპეტენტურია, რომ არ იცის ამერიკული დიპლომატიის დაუწერელი კანონი საქართველოს მსგავსი ქვეყნების მიმართ. ამ კანონით, თუ სახელმწიფო არ იღებს ელჩის შემოთავაზებულ კანდიდატურას, მას სთავაზობენ იმ ელჩს, რომელიც უფრო ხისტია. ახალი ელჩი უფრო მკაცრი იქნება ქართული პოლიტიკური ელიტის მიმართ. ეს ცუდი არ უნდა იყოს ქვეყნისა და ხალხისათვის, რომელსაც ცვლილებები უნდა.

– ელჩის დაბლოკვის მიზეზი რა გახდა?

– რუსეთის აჩემება. მოსკოვში მწვავედ განიცდიან სომხეთში მომხდარ ხავერდოვან რევოლუციას. პაშინიანის მოსვლამ კრემლს დიდი დარტყმა მიაყენა. რუსეთის ხელისუფლების ეჭვებით, ბრიჯიტ ბრინკი პირადად იყო ჩართული სომხეთის რევოლუციურ მოვლენებში. ეს ეჭვი რუსებს გაუჩნდათ იმის გამო, რომ ბრინკი ერთი-ორჯერ შეხვდა ნიკოლ პაშინიანს. ბრინკი მას ხვდებოდა, როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი. იგი აკეთებდა იმას, რაც დაავალეს.



– საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის დავალება შეასრულა?

– საქართველოს ხელისუფლება ფარულად ხშირად ასრულებს რუსეთის დავალებებს. ეს ერთ-ერთი შემთხვევაა.

– რუსეთი ჯავრს სომხეთის გამო იყრის თუ სხვა ამოცანებიც ამოძრავებს?

– რუსეთს ეშინია, რომ სომხეთის მსგავსი მოვლენები საქართველოშიც განვითარდება. კრემლს ეს ფობია სჭირს, აქაურები კი ჩრდილოელი მეზობლის შიშს აჰყვნენ. ამის გამო იბლოკება ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურა. სააკაშვილთან ის არც მაშინ ყოფილა დაახლოებული, როცა საქართველოში მუშაობდა და მაშინდელი ელჩის მოადგილე იყო. ახლა ნაცმოძრაობას, მისგან გამოყოფილ პარტიებს და „ქართულ ოცნებას“ დასავლეთი კიდევ უფრო უნდობლად ეკიდება. ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ორივე დამარცხდა. „ქართულმა ოცნებამ“ და ნაცმოძრაობამ გედის სიმღერა იმღერეს.

– ერთი მხრივ, ითვლება, რომ ამომრჩეველმა, მეტ-ნაკლებად, ორივეს უარი უთხრა. მეორე მხრივ, მათმა კანდიდატებმა ხმების სოლიდური რაოდენობა მიიღეს და მაინც გედის სიმღერა გამოუვიდათ?

– მოვლენები ვითარდება არა ამ ციფრების საფუძველზე, არამედ, საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილი მოცემულობის მიხედვით. ეს ციფრები, რბილად რომ ვთქვათ, გაბერილია. ამ მონაცემებით, ამომრჩევლის რაოდენობა მოსახლეობის რიცხოვნობას უტოლდება. ამ დროს მოსახლეობის ერთი მესამედი ბავშვია. ამომრჩევლის რიცხვი ქვეყანაში არ აღემატება 2 მილიონ 400 000-ს. მოვა დრო და გასამართლდება ყველა არჩევნების ყველა გამყალბებელი. მარტო ამ არჩევნებზე არ ვსაუბრობ.

– ბოლო ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ „ოცნებასა“ და ნაციონალებს აქვთ კოალიციური მთავრობის შექმნის გეგმა. ამას ვეღარ ახერხებენ?

– ცოტა ხნის წინ ამ გეგმის განხორციელებაზე გარიგებული ძალები სერიოზულად მუშაობდნენ. ჩაფიქრებული იყო ვადამდელი არჩევნების გამართვა უკვე მარტში, რასაც მოჰყვებოდა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. „ქართული ოცნება“ და ისევ ერთად შეკრული ნაციონალები ჩამოაყალიბებდნენ ერთობლივ ხელისუფლებას. ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ სხვა პოლიტიკური ძალებისათვის კარი მჭიდროდ დაიხურებოდა და არც პაშინიანის მაგვარი ლიდერი გამოჩნდებოდა, რომლისაც „ოცნებასა' და ნაციონალებს ეშინიათ.

– ამბობთ, რომ საგარეო ფაქტორების გავლენით, „ოცნება“, ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ წამყვანი ძალების პოზიციებს დათმობენ?

– ისინი მარტო დომინანტობას კი არ დაემშვიდობებიან, პოლიტიკაში ნიშაც არ დარჩებათ. აშშ რეგიონში გააქტიურებულია და ამ ანტიდასავლური პარტიების გამო გეოპოლიტიკა არ შეიცვლება.

– ამ პარტიების პოლიტიკური საქმიანობა როგორ მთავრდება, როცა ოპოზიციას ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაც არ წაუღია უკან?

– შეიძლება ამ პარტიებმა არ გამოაცხადონ, რომ ვადამდელ არჩევნებს აღარ მოითხოვენ, მაგრამ ისინი ყურადღებას სხვა საკითხებზე გადაიტანენ და ეს თემა თავისთავად მოიხსნება დღის წესრიგიდან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები შეეცდებიან, 16 დეკემბერს დიდი ქულები ჩაიწეროონ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის დეპუტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. წინ პოლიტიკურად რთული ორი წელი გველოდება?

– რთული პოლიტიკური პროცესები იქნება, ამას შეპირებულიც არიან, რომც არ იყვნენ, მოსალოდნელი ისედაც იყო. პოლიტიკური ჯოჯოხეთი ჯერ კიდევ როდის დაანონსა ნაციონალურმა მოძრაობამ.

– „ქართული ოცნება“ პრობლემებს თავს როგორ გაართმევს?

– გააჩნია, ამ შემთხვევაში რა იქნება „ქართული ოცნების“ არსენალში. მოსახლეობისთვის ერთმანეთზე დაპირისპირება და იერიშის მიტანა მომაბეზრებელი იქნება. ადამიანები საქმეს ელოდებიან ნებისმიერი მხრიდან.

ჯოჯოხეთის მოწყობა მცდარი სტრატეგიაა. ეს ამომრჩეველში მხოლოდ უარყოფით როლს თამაშობს. ამიტომ უმჯობესი იყო, ნაციონალურ მოძრაობას სხვა სტრატეგია აერჩია.

– ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ 800 ათას ხმას იცავს.

– როდესაც ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ 800 ათას ხმას იცავს, მაშინ საკითხი ასე დგება – დასავლურ ქვეყანაში, სადაც არჩევნებს აგებენ პარტიები, ყველა ჯოჯოხეთის პოლიტიკაზე გადადის?! ეს როგორი ხმების დაცვაა?! დასავლურობა და დემოკრატიულობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ დღეს დამარცხდები და ხვალ გაიმარჯვებ. ამის რწმენა თუ არ გაქვს, მაშინ რომელ დემოკრატიულობაზეა საუბარი?!

– ნაციონალური მოძრაობის ეს სტრატეგია რა შედეგს მოუტანს მათ, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ეს ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

– ახლა ისინი ხმაურში ხედავენ გამოსავალს?

– რა თქმა უნდა. თუმცა, გამეორება ყოველთვის არ არის შედეგზე ორიენტირებული. ეს ხმაურის პოლიტიკა შეიძლება მათთვის წამგებიანი აღმოჩნდეს. თუ ამ ხმაურით ისინი შედეგს ვერ დადებენ, ეს მათ ამომრჩეველში, თუნდაც იმ 800 ადამიანში, იმედგაცრუებას გამოიწვევს.

გიორგი მარგველაშვილმა კანონებზე ვეტოს დადების სტრატეგია აირჩია, მაგრამ ამ სტრატეგიამ მას შედეგი ვერ მოუტანა. ეს უაზრო ნაბიჯები პირველ რიგში მარგველაშვილისთვის გადაიქცა პრობლემად. ბოლოს მას მოსახლეობისთვის იმის ახსნა-განმარტება უწევდა, თუ რას ემსახურებოდა მისი ვეტოები. ასევე, მე არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავის ამომრჩევლისთვის მოუწიოს ახსნა-განმარტება, რას ემსახურება მათი ხმაური.

– თუნდაც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რასაც ისინი ითხოვენ.

– და აძლევს ხელს ვადამდელი არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას?! არის კი ნაციონალური მოძრაობა მზად არჩევნებისთვის?! მეორე ტური ხომ იყო იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ არ უნდა ქართველ ამომრჩეველს ნაციონალური მოძრაობის მობრუნება ხელისუფლებაში. ამ შიშით ხალხი, რომელიც საერთოდ არ მისულა არჩევნების პირველ ტურზე, ადგა და მივიდა.

– სააკაშვილი პროცესების გამწვავების მომხრეა, მას გუნდში არ ეთანხმებიან, მაგრამ სხვა გზა არ რჩებათ. ამის მაგალითია სალომე სამადაშვილი. მან ჯერ თქვა, რომ ის 16 დეკემბრის აქციას არ უერთდება, შემდეგ კი თქვა, რომ აქციაზე მიდის.

– სავსებით სწორი ლოგიკაა. ეს აშკარად ჩანს მიხეილ სააკაშვილის რიტორიკაში, რომლითაც ის ამსტერდამიდან გამოდის. ამდენად, ნაციონალურ მოძრაობას თავისი გასჭირვებია. ნაციონალური მოძრაობა ვერ ახერხებს უარი თქვას მიხეილ სააკაშვილზე. სააკაშვილი ითხოვს არაევროპულ, ამას ხაზგასმით ვამბობ, მოქმედებებს.

– აქციებსა და პროტესტში რა არის არაევროპული?

– ნაციონალურმა მოძრაობამ, ევროპელი პოლიტიკოსებისა და პარტიებისგან განსხვავებით, დამარცხება ვერ აღიარა და ვერ შეეგუა, ეს განასხვავებს მათ იმ პოლიტიკოსებისგან, რომლებიც მეგობრებად მიაჩნიათ.

სააკაშვილი დღეს თავისი ამ სტრატეგიით პრობლემას უქმნის მის პარტიას ევროპასთან ურთიერთობაში. არადა, მას პრეტენზია აქვს, რომ ევროპული სტანდარტებით მოქმედებს და არა – შუა საუკუნეების.

– ანუ გუნდში არიან ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის პოლიტიკას არ ეთანხმებიან, მაგრამ იძულებულები არიან, რომ დაეთანხმონ?

– რასაკვირველია! ამაში ორი აზრი არ არის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ სააკაშვილის უკან დგას ის ამომრჩეველი, რომელიც სააკაშვილის ამომრჩეველია და ამიტომ აძლევს ხმას ნაციონალურ მოძრაობას, მასზეა ორიენტირებული და მეორე სერიოზული ფაქტორი არის სახსრები, ფინანსები, რომელიც სააკაშვილიდან მოდის.

– 16 დეკემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, სერიოზული ექსცესები არის მოსალოდნელი?

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ ალბათ გაუჭირდებათ. ნაციონალური მოძრაობა ყველა ღონეს იხმარს, რომ 16 დეკემბერს დიდი ქულა ჩაიწეროს.

– ხელისუფლება ამბობს, რომ ინაუგურაციას ვერავინ ჩაშლის.

– 16 დეკემბერს თუ ნაციონალურმა მოძრაობამ ინაუგურაციაზე იერიში მიიტანა ან მისი ჩაშლა შეძლო, მაშინ ეს „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკურად ძალიან ცუდი იქნება. ეს იქნება სერიოზული პოლიტიკური გარდატეხა ხელისუფლებისთვის.

ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ ძალიან ცუდი იმიჯი ჩამოუყალიბდება მოსახლეობის თვალში. ამიტომ „ოცნებას“ ალტერნატივების გარეშე მოუწევს ბრძოლა ინაუგურაციის დასაცავად.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს უმუშევრობა ემუქრებათ

ნონა ცაბაძე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლის ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებაზე გადაყვანას ითვალისწინებს, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „ახალი თაობა“ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს საპარლამენტო მდივანს, ლიკა საჯაიას, ესაუბრა.

– ლიკა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები არაკონსტიტუციურს უწოდებენ აღნიშნულ კანონპროექტს. რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?

– ეს კანონი ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის რეფორმას, ახალ კანონს საჯარო სამსახურის შესახებ, რომლის თანახმადაც, საჯარო სამსახური უნდა იყოს აპოლიტიკური ხასიათის, უნდა იყოს პროფესიონალიზმზე დაფუძნებული და ამ შემთხვევაში ის ადამიანები, ასზე მეტი თანამშრომელი პრეზიდენტის ადმინისტრაციისა, წარმოადგენს საჯარო მოხელეს, მათ აქვთ მუდმივი ფუნქციები, ისინი ემსახურებიან არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ პრეზიდენტს, არამედ ინსტიტუციას.

– ბევრი მათგანი წლებია მუშაობს, შევარდნაძის დროიდან მოყოლებულიც კი.

– კი ბატონო და ისინი არავის შეუმცირებია, რადგან მათი ფუნქციის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭიროა პროფესიონალიზმი და ინსტიტუციური მეხსიერება. ამიტომ მთლიანად ამ 100 ადამიანის გადაყვანა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე იქნება მთავარი პრინციპის დარღვევა, საჯარო სამსახურის სტაბილურობის და აპოლიტიკური ხასიათის.

– ახალ პრეზიდენტს შეეძლება, ძალიან მარტივად გაუშვას ეს ადამიანები სამსახურიდან?

– დიახ. ადმინისტრაციული ხელშეკრულება გულისხმობს იმას, რომ გარკვეული ვადით პირი აჰყავთ ხელშეკრულებით სამსახურში და მათი უფლებამოსილების ვადა ყოველთვის არის მიბმული პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზე. ანუ, როგორც კი მოვა ახალი პრეზიდენტი, ეს ყველა ადამიანი ისევ იქნება დათხოვნილი სამსახურიდან და ახალ პრეზიდენტს ექნება იმის უფლება, რომ კვლავ თავისი კადრები მოიყვანოს.

– ბიუჯეტის ცვლილება მოხდა, შეიზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და ამდენი თანამშრომელი საჭირო აღარ არის.

ლიკა საჯაია: „ახალი კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება“

– გასაგებია, რომ ბიუჯეტი შემცირდა, ასევე შემცირდა პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და მას აღარ სჭირდება ამდენი თანამშრომელი, მაგრამ ამისთვის არსებობს კანონიერი გზა. მან უნდა გამოაცხადოს რეორგანიზაცია და რეორგანიზაციის საფუძველზე მოხდეს შტატების შემცირება და არა ისე, რომ ხვალიდან 100 ადამიანი დარჩით უმუშევარი.

ერთი მხრივ, ეს კანონს ეწინააღმდეგება და მეორე მხრივ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ უნდა გაგვეტარებინა საჯარო სამსახურის რეფორმა, რომელიც პროფესიულ სამსახურად ჩამოაყალიბებდა საჯარო სამსახურს და ეს არ იქნებოდა პოლიტიკური ხასიათის. ამიტომ, მეორე მხრივ, ეს ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებას, რაც აიღო საქართველომ და რაც შევასრულეთ საჯარო სამსახურის რეფორმით და მესამე, ეს ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

– რომელ გადაწყვეტილებას გულისხმობთ?

– გადაწყვეტილებას, რომელიც მერიის თანამშრომლების საჩივარს ეხებოდა, როდესაც მერიის თანამშრომლები, კერძოდ, სამსახურის უფროსები გაათავისუფლეს სწორედ ამ მოტივით სამსახურიდან და სწორედ მაშინ აღინიშნა, რომ საჯარო სამსახური უნდა იყოს სტაბილური და ადამიანის სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა უნდა იყოს მის ფუნქციაზე მიბმული და არა იმაზე, კონკრეტულად რომელი პირი მოვა ხელისუფლებაში.

– ეს არასტაბილურობის განცდას იწვევს საზოგადოებაში, როგორც კი იცვლება მაღალი თანამდებობის პირი, ჩნდება შიში, რომ კონკრეტულ უწყებაში მომუშავე ადამიანები სამსახურს დაკარგავენ.

– სწორედ ამ შიშის განეიტრალებას ემსახურებოდა ეს საჯარო სამსახურის რეფორმა, რაც ჩვენ გავატარეთ და რისი ერთ-ერთი მიზანიც არის საჯარო სამსახურის სტაბილურობა.

– ითქვა ისიც, რომ ეს კიდევ ერთი დარტყმაა პრეზიდენტის ინსტიტუტზე. ასეა?

– ბოლო წლებია, თვალს ვადევნებთ პროცესებს და ხდება ამ ინსტიტუტის მიზანმიმართული დაკნინება. თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ ინსტიტუციურ პრობლემასთან არ გვაქვს საქმე, აქ რეალურად წყდება 100 ადამიანის ბედი, რომლებიც უსაფუძვლო და არაკონსტიტუციური კანონის გამო, ხვალ შეიძლება დარჩნენ უმუშევრები.

– უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ საგანგაშო არაფერი ხდება და ეს ცრუ განგაშია.

– მე არ ვიცი, ისინი რას აფასებენ საგანგაშოდ და რას არა, ან რა კუთხით განიხილავენ, თუმცა ეს კანონპროექტი ნამდვილად ეწინააღმდეგება კანონს, ეწინააღმდეგება მნიშვნელოვან რეფორმას, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო გადაწყვეტილებას, ეწინააღმდეგება ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ასევე ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის იმ ადამიანებს, ვინც მუშაობენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და უმუშევრები დარჩებიან.

ამაზე მეტი საგანგაშო რა უნდა იყოს, არ ვიცი! უმრავლესობის განცხადებებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ჩვენ შევეცდებით ყველანაირად, რომ აზრი შევაცვლევინოთ კანონმდებლებს, ხოლო თუ მაინც გადაწყვეტენ ამ კანონის მიღებას, ამ ადამიანებმა, ვისი უფლებაც დაირღვევა, უნდა მიმართონ სასამართლოს.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ 400 თანამშრომელი იძულებით შვებულებაში გაუშვა

გუშინ, 12 დეკემბერს, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ 400 თანამშრომელი იძულებით შვებულებაში გაუშვა.

ამის შესახებ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.

„დღეს, 12 დეკემბერს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გაჩერდა ერთი ფოლადსადნობი ღუმლის კომპლექსი. წარმოების მოცულობის ეს შემცირება წინასწარ იყო განცხადებული. ეს არის ირანიდან უხარისხო დემპინგური არმატურის მოზღვავებული იმპორტის შედეგი.

15 ნოემბერს ძალაში უნდა შესულიყო საზღვარზე სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლი, რაც შეაჩერებდა უხარისხო არმატურის იმპორტს. მთავრობის გადაწყვეტილებით კონტროლის შემოღებამ გადაიწია 15 იანვრამდე. წარმოების შემცირებამ გამოიწვია 400 თანამშრომლის იძულებით შვებულებაში გაშვება.

ქარხანა იმედს გამოთქვამს, რომ კონტროლის მექანიზმები შევა ძალაში უახლოეს მომავალში და შემდგომი სიმძლავრეების შემცირება არ გახდება აუცილებელი“, – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

თუ მთავრობა საქართველოს საზღვარზე სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლის შესახებ გადაწყვეტილებას 15 იანვრამდე არ მიიღებს, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სრულად გაჩერდება და სამუშაო ადგილს ჯამში 2.000 მუშა-მოსამსახურე დაკარგავს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა
1948 RUSTAVI

მამუკა კაციტაძე: „ოცნებას“ საარჩევნო სისტემა უნდა შევაცვლევინოთ“

„ახალი მემარჯვენეები“ 16 დეკემბრის აქციას არ უერთდება

იაგო ნაცვლიშვილი

16 დეკემბერს ახლად არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის პარალელურად გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ აქციას გეგმავს. ამას გარდა, ოპოზიციურ პარტიებს შორის გარკვეული კონსულტაციები გაიმართა მომდევნო საპარლამენტო არჩევნების საკითხებზე.

შეუერთდებიან თუ არა „ახალი მემარჯვენეები“ გაერთიანებული ოპოზიციის აქციას და რა გეგმები აქვს ოპოზიციას უახლოეს პერიოდში? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ პარტიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძეს ესაუბრა:

– ოპოზიციას გქონდათ გარკვეული კონსულტაცია. რა გეგმები გაქვთ უახლოეს პერიოდში? გარკვეული კომუნიკაცია მათ შორის გაერთიანებულ ოპოზიციასთანაც გქონდათ. პირდაპირ გკითხავთ, აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 16 დეკემბრის აქციაში?

– ოპოზიციის ახლო მომავლის პერსპექტივას თუ გულისხმობთ, ეს თემა ორად უნდა გავყოთ. ერთი არის საპრეზიდენტო არჩევნებთან ჩვენი დამოკიდებულება, 16 დეკემბრის მოსალოდნელი აქცია და მეორეა საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული აქტივობები.

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „ახალმა მემარჯვენეებმა“ ვთქვით და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არჩევნები „ქართული ოცნების“ პირობებში ჩატარებულ ყველა სხვა არჩევნებთან შედარებით უარესი იყო, ანუ ცუდი.

– მხოლოდ „ქართული ოცნების“ პირობებში ჩატარებულ არჩევნებს შორის იყო ყველაზე ცუდი, თუ საერთოდ რაც ჩატარებულა?

– მხოლოდ „ქართული ოცნების“ პირობებში ჩატარებულ არჩევნებს ვგულისხმობ. აქ არის ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა. როდესაც ვაცხადებთ, რომ ეს იყო ყველაზე ცუდი არჩევნები, ამას მე პირადად არ ვემხრობი. იმიტომ, რომ ძალიან კარგად მახსოვს 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, – ე.წ. მოგებულს მიაქვს ყველაფერი თბილისთან მიმართებაში. ასევე, კარგად მახსოვს 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების კოშმარი და კარგად მახსოვს 2010 წლის არჩევნებიც.

ამიტომ, როდესაც საუბარია, რომ ეს იყო ყველაზე ცუდი არჩევნები, ეს ასე ნამდვილად არაა საქართველოს ისტორიისათვის. მაგრამ 2012 წლიდან მოყოლებული, ყველა ჩატარებული არჩევნებიდან, ეს არჩევნები ნამდვილად იყო რეგრესული.

უამრავი ხარვეზისა და დარღვევის მიუხედავად, სამართლებრივი და პოლიტიკური ლეგიტიმაციის საკითხი არ დგას. ეს არ დგას არც უცხოელებისთვის. როდესაც პრეზიდენტს გამარჯვებას ულოცავენ, არჩევნები ჩატარებულად ითვლება, შემდეგ ლეგიტიმაციის საკითხი არ უნდა დადგეს. თუ ასე განვიხილავთ, რომ რადგან დარღვევები იყო, ამიტომ ლეგიტიმაციის საკითხი უნდა დაგდეს, მაშინ საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნები არალეგიტიმური ყოფილა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მე ჩამოვთვალე.

16 დეკემბრის აქციას არ ვუერთდებით. განსაკუთრებით არ ვუერთდებით იმ ნაწილში, რომ ეს არჩევნები უნდა გამოცხადდეს ანულირებულად და არალეგიტიმურად. ასევე იმ ნაწილშიც, რომ ეს არჩევნები იყო ყველაზე ცუდი, რაც კი საქართველოში ჩატარებულა.

– ოპოზიციის უახლოესი გეგმა რა არის?

– საუბარია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

საქართველოში საარჩევნო გარემო ძალიან ცუდია, რომელიც მანდატების საკმაოდ მსუყედ – 25-30%-ის ფარგლებში მოპარვის შესაძლებლობას იძლევა პარლამენტში, რაც მარტო კითხვის ნიშნის ქვეშ კი არ აყენებს, არამედ ეს ყველაფერი სერიოზულ პრობლემას ქმნის.

აქ 2 მნიშვნელოვანი თემაა. ერთი ეს არის საარჩევნო სისტემის შეცვლა. კერძოდ, ავადსახსენებელი მაჟორიტარული სისტემის გაუქმება და პროპორციული წესით არჩევნების ჩატარება, მეორე მხრივ, ნეიტრალური და სამართლიანი არბიტრის უზრუნველყოფა, რაც მდგომარეობს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესში.

არის კიდევ ერთი თემა, ეს არის რიგგარეშე არჩევნების თემა. თუ ეს ორი საკითხი არ იქნა გადაწყვეტილი, ანუ არ იქნა საარჩევნო სისტემა შეცვლილი და ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, არათუ რიგგარეშე, მომდევნო არჩევნებსაც კი ეკარგება აზრი და ჩნდება ხიფათები 2020 წლის არჩევნებთან მიმართებაში.

ამიტომ, „ახალი მემარჯვენეებისათვის“ რიგგარეშე არჩევნები პოლიტიკურ დღის წესრიგში საერთოდ არ დგას, როგორც პრიორიტეტული საკითხი. პრიორიტეტული საკითხი არის საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული 2 ძირითადი თემა და შეიძლება სხვა პროცედურული საკითხებიც.

– როგორც მივხვდი, კომპრომისისთვის მზად ხართ, რომ რიგგარეშე არჩევნების საკითხი არ დააყენოთ თუ ხელისუფლება შემხვედრ ნაბიჯებზე წამოვა?

– უფრო მეტსაც გეტყვით, კომპრომისი კი არა, საერთოდ არ ვაყენებთ რიგგარეშე არჩევნების საკითხს, სანამ იმ ორ საკითხზე არ გვექნება პასუხი.

საარჩევნო გარემოს და, კერძოდ, სისტემის შეცვლა თავის თავში გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რასაც აქვს პროცედურები, რომელსაც სჭირდება დრო. ამ დროს თუ გავითვალისწინებთ და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, მოსწრებადობის საკითხიც დგება, როგორც პრობლემა. ამიტომ, კომპრომისს არ დავარქმევდი იმას, რასაც რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებული დამოკიდებულება ჰქვია.

არ არის ეს თემა ჩვენთვის პრიორიტეტული. ეს საკითხი ყოველთვის დგება, როცა მანდატების მოპარვაზეა საუბარი, იმიტომ, რომ საზოგადოების განწყობები მახინჯად აისახება პარლამენტში და ამიტომ დგება ეს თემა, მაგრამ ვიმეორებ, რიგგარეშე არჩევნები ჩვენთვის არ წარმოადგენს არანაირ პრიორიტეტს.

– ხედავთ მზაობას სხვა ოპოზიციურ პარტიებში, რომ სხვა საკითხები გადაიწონოს?

– შემიძლია, რომ რაღაცნაირად გავიგო გაერთიანებული ოპოზიციის, რომელიც მეორე ტურში გავიდა და რომელიც ფაქტობრივად უსამართლობისა თუ დარღვევების მსხვერპლი გახდა, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო და ისინი, ერთი მხრივ, არ ხსნიან ლეგიტიმაციის საკითხს და, მეორე მხრივ, რიგგარეშე არჩევნების საკითხს. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩაივლის 16 დეკემბერი პროტესტით, აქციით, კრიტიკით და ა. შ. შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგება და დარწმუნებული ვარ, რომ ჩადგება.

არ ვუსურვებ არავის, რომ ისეთი ტერმინოლოგიები შემოიტანოს, რომ ჩვენი პრეზიდენტი ვაშაძეა, საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს და ა.შ. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, რომ ყველამ კონსოლიდაცია მოვახდინოთ საარჩევნო თემაზე და სერიოზული პრესინგის პირობებში ქვეყნის შიგნით და სერიოზული თანამშრომლობის აუცილებლობით ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაქსიმალური ზეწოლა უნდა მოვახდინოთ იმისათვის, რომ ხელისუფლება წამოვიყვანოთ კონკრეტულ სერიოზულ და სამართლიან დათმობაზე.

– და როცა ხელისუფლება არ აცხადებს კომპრომისისთვის მზაობას?

– მე არ მახსოვს ოპოზიციის არც ერთი წინადადება, რომელიც რომელიმე ხელისუფლების მიერ ეგრევე გათვალისწინებული იყო. მაგრამ, შემიძლია დაგიახლოთ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ხელისუფლებაზე პრესინგის პირობებში განხორციელდა.

რაც შეეხება პრესინგის ფორმებს, არსებობს დისკუსიაც, აქციაც, პროტესტის მწვავე ფორმებიც და ასევე არსებობს სერიოზული თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჩვენ ეს გამოგვიყენებია და შეგვიძლია რაღაც სიახლეც მოვიგონოთ. მაგრამ ეს ყველაფერი ვერ მოხდება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ შეფასებების უნისონის გარეშე.

ამაზე ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს.

„ქართული მიწის უცხოელებზე რეგისტრაციის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ეს ჩვენი სახალხო პროტესტის შედეგია“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– პატონო დიმიტრი, გიორგი გახარიამ დაგიბარათ შს სამინისტროში. რას უკავშირდებოდა თქვენი დაბარება?

– მოგახსენებთ. მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. 7 დეკემბერს ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ, მეორე-მესამე დღეს შაბათი და კვირა იყო. შაბათი და კვირა სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილისთვის სრულიად საკმარისი დრო აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოგვეხდინა საზოგადოების ყურადღების მობილიზაცია იუსტიციის სახლთან.

– რატომ იუსტიციის სახლთან და არა პოლიტიკურ ორგანოებთან?

– იმიტომ, რომ იუსტიციის სახლი არის იურისტთა თავშეყრის ადგილი. ეს არის ადგილი, სადაც უნდა მომხდარიყო სასოფლო-სამეურნეო მიწების ელექტრონული რეგისტრაცია უცხოელ მოქალაქეებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც მოხსნა პარლამენტის მიერ მიღებული მორატორიუმი.

– უცხო ქვეყნებიდანაც შეუძლიათ მიწები დაირეგისტრირონ?

– არა, ელექტრონულად განაცხადის გაკეთება შეუძლიათ, რეგისტრაცია ადგილზე ხდება. შესაბამისად, 5 დღე საკმარისი იქნებოდა, რეგისტრაცია დაწყებულიყო იმ 2.500 განაცხადისა, რომელიც მანამდე უკვე იყო გაკეთებული და პარალელურად, რაც 5 დღის განმავლობაში შემოვიდოდა.

– სულ რამდენია შემოსული?

– 2.500. 11 დეკემბერს 17 განაცხადი შემოვიდა.

– ვინ არიან განაცხადების ავტორები?

– ძირითადად არაბეთის სახელმწიფოებისა და ირანის მოქალაქეები.

– მათ რამენაირი კავშირები აქვთ საქართველოსთან? ვთქვათ, ორმაგი მოქალაქეობა?

– არა, ძირითადად ბინადრობის უფლებით არიან შემოსული და ქონების სახით მიწებს ყიდულობდნენ. ვინაიდან მორატორიუმი აჩერებდა მათ სურვილებს, მათი განაცხადებიც გაყინული იყო. როდესაც მორატორიუმი მოიხსნა, 5 დღის ვადა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მათ დაეწყოთ რეგისტრაცია.

– მოასწრეს რომელიმე განაცხადის დარეგისტრირება?

– სწორედ ამ რეგისტრაციის პროცესის ხელის შეშლის მიზნით მოვედით, რომ კონკრეტული სამართლებრივი რეკომენდაციები მიგვეწოდებინა იუსტიციის სახლის იურისტების, საჯარო რეესტრის თანამშრომლებისა და მათი ხელმძღვანელობისთვის.

– სამართლებრივად ხელი როგორ უნდა შეგეშალათ? რას ემყარებოდა თქვენი განზრახვა?

– პირველ რიგში, ეს ემყარებოდა კონსტიტუციის 33-ე მუხლის მოქმედებას, რომლისგან გამომდინარეც შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლი ადგენს საჯარო მოხელის, დასაქმებული პირის (ამ შემთხვევაში საჯარო პირის) გაფიცვის უფლებას.

თუ საჯარო პირი, ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის თანამშრომელი, იურისტი, უარს იტყოდა რეგისტრაციაზე სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან გამომდინარე და გამოაცხადებდა გაფიცვას 5 დღის ვადით, ეს შეაჩერებდა ელექტრონული რეგისტრაციის პროცესს. 2018 წლის 16 დეკემბრიდან კი ამოქმედდებოდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია და რეგისტრაციისთვის კარი ჩაიკეტებოდა.

კონსტიტუციის ახალი რედაქცია მიწაზე საკუთრების უფლების რეგულაციის საკითხს აკისრებს ორგანულ კანონს და მიწის კოდექსს, რომელიც საქართველოს ჯერ არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი გადაიწეოდა შორეულ პერსპექტივაში. ამასობაში ჩვენ საკანონმდებლო დონეზე ჩავკეტავდით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებაში დარეგისტრირების ყველანაირ შესაძლებლობას. ამიტომ მოვედით იუსტიციის სახლთან. მოვიდა 700 ადამიანი.

– იქ არ მოსულან, მაგრამ საქართველოს ბევრი მოქალაქე იყო სოლიდარული.

– ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩვენი სოლიდარული. სოციალურ ქსელებში ჩვენს წინადადებას ჰქონდა ბევრი გაზიარება. წინადადების ინიციატორები ვიყავით მე, ზვიად ტომარაძე და სოსო მანჯავიძე. ამ სამმა თავისუფალმა მოქალაქემ, რომლებიც არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრები არ ვართ, გამოვხატეთ სურვილი, რეკომენდაციით მიგვემართა იუსტიციის სახლისთვის.

ჩვენ გარშემო ბევრი ორგანიზაცია გაერთიანდა. მათ შორის, პოლიტიკური პარტიები: „პატრიოტთა ალიანსი“, ქართული იდეა, ქართული დასი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მათ.

– იუსტიციის სახლმა თქვენი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და არ გაიფიცა.

– იუსტიციის სახლთან მოსულმა ხალხმა 5 დელეგატი აგვირჩია. მათ 3 საათი გვალოდინეს. ამ ხნის განმავლობაში ეს შენობა პიკეტირებული იყო, რადგან პასუხს ველოდებოდით. 3 საათის შემდეგ გვითხრეს, რომ 2 კაცს შეუშვებდნენ.

შევიდნენ ემზარ კვიციანი და ზვიად ტომარაძე. გავიდა კიდევ 3 საათი, ვიდრე ეს ადამიანები გარეთ გამოვიდნენ. როცა გამოვიდნენ გარეთ, პოლიციამ მოიყარა თავი და ჩვენც უკან დავიხიეთ.

– ამის გამო დაგიბარეს პოლიციაში?

– დიახ, მიუხედავად ყველაფრისა, ამას მაინც მიეცა კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით, რაც გულისხმობს სანქციას თანასწორუფლებიანობის დარღვევისთვის, რაც არის ანტიდისკრიმინაციულ კანონთან ერთად მიღებული ნორმა სისხლის სამართლის კოდექსში და ეს შს სამინისტრომ ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენა.

– მხოლოდ თქვენ დაგიბარეს?

– აქციის ორგანიზატორები დაგვიბარეს შს სამმართველოში.

– თვითონ გახარია შეგხვდათ? ასეთი ინფორმაცია გავრცელდა.

– არა. საღამოს 9 საათზე შემატყობინეს, რომ დილის 9 საათზე უნდა მივსულიყავი დაკითხვაზე. როდესაც ვუთხარი, დილის 9 საათზე აქცია იქნება და ახლა მოვალ-მეთქი, მოდიო.

მივედი, უწყება გადმომცეს და მითხრეს, ისევ მოდი ხვალ დილით 9 საათზეო. ეს იყო მასხრად აგდება, ეს იყო ჩვენდამი ცინიკური დამოკიდებულება, მაჟორული აკორდის აღების მცდელობა გიორგი გახარიას მხრიდან, სანამ ის შეეცდება, რომ პრემიერ-მინისტრის სავარძელი დაიკავოს. ამით ქულები ჩაიწერა.

– რატომ ამბობთ, შეიძლება გახარიამ პრემიერის სავარძელი დაიკავოსო. ახლახან დანიშნეს ახალი პრემიერი, ყოველ თვეში ხომ არ შეცვლიან?

– მე ვსაუბრობ იქიდან გამომდინარე, რომ მედიით ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბახტაძე მალე დატოვებს თავის პოსტს სხვადასხვა მიზეზების გამო. ამაზე ახლა არ ვისაუბრებ.

სხვას ვერაფერს დავუკავშირებ იმას, რომ გიორგი გახარიას დავალებით, ავტოკოლონაში მყოფი აქციის მონაწილეები 200-200 ლარით დააჯარიმეს. ამის შემდეგ დაიწყეს გამოძიება აქციის მონაწილეების წინააღმდეგ საქართველოს სს კოდექსის 142-ე მუხლით, თანასწორუფლებიანობის დარღვევისთვის. პირველ რიგში, მე დამიბარეს მოწმის სახით დასაკითხად.

– მიხვედით?

– დიახ, მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ. დამკითხეს.

– რა აინტერესებდათ?

– პროცესთან დაკავშირებით მეკითხებოდნენ. კითხვები ეხებოდა აქციის ორგანიზების მოტივაციას და ა.შ.

– ჩვენ უცხოელებზე მიწების გაყიდვას ვემხრობითო?

გაგრძელება მე-6 გვერდზე

გაუყინავს თუ არა ვაშინგტონი ივანიშვილს ანგარიშებს

ბეჟან ნათელაშვილი: „ამერიკა რომ არა, რუსეთი ისე გადაგვყლაპავდა, როგორც ლუარსაბი ბოზბაშის ნაჭერს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაბლოკა ივანიშვილმა აშშ-ის ელჩის კანდიდატურა, რა სანქციები ელოდება მას, რას მიიღებს ხელისუფლება გაზაფხულზე, რა შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

ბეჟან ნათელაშვილი:

– დღეს ძალიან აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლებამ აშშ-ის ელჩის კანდიდატურა დაბლოკა. ასეთი რამე საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა. ეს ხელისუფლება სერიოზულ შარშია. ეს შარი ამ ე.წ. არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდება.

ის, რაც ამათ ჩაატარეს, არჩევნების გარდა ყველაფერი იყო. თუ რამე დარღვევა არსებობს, ამ არჩევნებზე ყველაფერი გამოიყენა „ქართულმა ოცნებამ“. შესაბამისად, ეს არჩევნები ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება. მთელმა გალაქტიკამაც რომ მიულოცოს, სალომე ზურაბიშვილი მაინც ვერ იქნება ლეგიტიმური პრეზიდენტი.

– „ოცნებას“ გალაქტიკის აზრი არ აინტერესებს. მისთვის მთავარია ივანიშვილისგან მილოცვა.

– მაგათთვის ბიძინაა სამყაროს ღერძი. ეტყობა, თავად ბიძინამაც დაიჯერა, რომ სამყაროს ცენტრია და ვაშინგტონს ელჩს უბლოკავს.

– ამბობენ, რომ აქ ივანიშვილი არაფერ შუაშია და გადაწყვეტილება სხვებმა მიიღეს.

– „ოცნებაში“ გადაწყვეტილებას ივანიშვილის გარეშე არ ღებულობენ. ამერიკასთან მიმართებაში ამდენს რიგითი მეოცნებეები ვერ გაბედავდნენ.

– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი ამ ამბავს ასე არ გაატარებს.

– არც უნდა გაატაროს. ამ ქვეყანას ჩვენთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. აშშ არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ეს არავის უნდა დაავიწყდეს.

– ვის ინტერესში უნდა შედიოდეს, რომ ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორთან გაგვიფუჭდეს ურთიერთობები? „ოცნება“ ვითომ ვერ აცნობიერებს, რომ დღეს რუსეთის აგრესიის შემაკავებელი ამერიკაა?

– ამერიკის ძალისხმევით ინარჩუნებს საქართველო თავის დამოუკიდებლობას. აშშ რომ არა, რუსეთი ისე გადაგვყლაპავდა, როგორც ლუარსაბი ბოზბაშის ნაჭერს. აქედან გამომდინარე დავფიქრდეთ, ვის აწყობს, რომ თბილისსა და ვაშინგტონს შორის უთანხმოება ჩამოვარდეს.

– ეს პირველ რიგში რუსეთს აწყობს, მაგრამ „ოცნება“ ამტკიცებს, რომ მისი კურსი პროდასავლურია.

– ამას თავად ამბობენ, ფაქტები კი სხვა რამეზე მეტყველებს. არსებობს სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილი და მისი ხელქვეითები პუტინის ადმინისტრაციის მიერ იმართებიან.

რუსეთში მილიარდებს ეფესბეს და გრუს გარეშე ვერ იშოვი. მათი ნებართვის გარეშე იქ ჯიხურის ჩადგმაც კი გამორიცხულია. ფულს იმათ აკეთებინებენ, ვინც მათი კაცია. ივანიშვილმაც მანდ იშოვა მილიარდები.

– იმის მიუხედავად, რომ მას ფული რუსეთში აქვს ნაშოვნი, ივანიშვილი ყოველთვის ცდილობდა, ამერიკელებთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინა. ელჩის კანდიდატურის დაბლოკვით მას ურთიერთობები უფუჭდება. რატომ უნდა წასულიყო ამაზე?

– აშშ-სთან ურთიერთობის დაძაბვა იმიტომ არ უნდა, რომ მისი კაპიტალის დიდი ნაწილი დასავლეთის ბანკებშია დავანებული. აქედან გამომდინარე მას არაფერში არ სჭირდება ურთიერთობების გაფუჭება. დარწმუნებული ვარ, თავად არც წავიდოდა ამაზე, მაგრამ ის ხომ საკუთარ თავს არ ეკუთვნის. ის არის პუტინის მსახური.

რამდენადაც მეტი მილიარდი გაქვს, იმდენად მეტჯერ ემონები ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

დღეს საქართველოს ივანიშვილზე დიდი მტერი არ ჰყავს. ის იმ ქვეყნის დავალებებს ასრულებს, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ ეყოთ და ახლა ღამის ყოველდღე მოიწევენ ქვეყნის შუაგულისკენ.

რაც რუსულ ოკუპაციას გადაურჩა, იმას ივანიშვილი ყიდულობს და იპარავს. სხვა ყველაფერთან ერთად ხალხის ხმების მოპარვაც დაიწყო. ხალხის ხმების მოპარვით მას ბიუჯეტის გაქურდვაზე პრობლემები არ შეექმნება.

გავიხსენოთ, როგორ ააფეთქა ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა – საყდრისი. ვინმემ იცის, იქიდან რამდენი ტონა ოქრო გაიტანა?! ამ კაცის გაუმაძღრობას საზღვარი არა აქვს. ცალკე საკუთარი დაუოკებელი მადა არ ასვენებს, ცალკე – დავალებების მიმცემი რუსეთი.

დღეს საქართველო ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენ ეს ადამიანი ქვეყნის პირველ მტრად უნდა ვაღიაროთ.

ამ დაქცეულ ქვეყანაში ხალხს პურიც კი გაუძვირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გაჭირვებულ ადამიანებს პურიც კი მოენატრებათ.

– ამას საზოგადოება მშვიდად შეხვდა და ამას რითი ხსნით?

– ხალხის დუმილი უიმედობით არის გამოწვეული. მზაკვარმა ხელისუფლებამ ისინი დააჯერა, რომ მათ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. ამ უიმედობამ თავი განსაკუთრებით მეორე ტურის შემდეგ იჩინა.

– ამას ემატება ქოცური ნარატივი, რომ თუ ხელისუფლებას აკრიტიკებ, ნაცი ხარ.

– ამ ნარატივმა მაგრად იმუშავა. ამით ის ხალხიც კი დააშინეს, ვისაც ქოცებმა უფრო მეტი ავნეს, ვიდრე ნაციონალებმა. ხალხი პროტესტისგან თავს იმიტომ იკავებს, რომ არ უნდათ, მათ ნაცი დაუძახონ.

„მთელმა გალაქტიკამაც რომ მიულოცოს, სალომე ზურაბიშვილი ლეგიტიმურ პრეზიდენტად ვერ ჩაითვლება“

– ხალხს და ხელისუფლებას რატომ ავიწყდება, რომ ყველა მამალი ქოცი წარსულში ნაცი იყო.

– მთავარი ნაცი იყო ბიძინა ივანიშვილი. მისი ფულით ნაყიდი რეზინის ტყვიები გვხვდებოდა 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველზე. მისი ბანკიდან დაურიგეს დამრბევებს პრემიები. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ სააკაშვილის რეჟიმის მთავარი გამამყარებელი იყო მთავარი მეოცნებე.

როდესაც საზოგადოება ამას ხედავს და ხმას არ იღებს, ეს ძალიან ცუდ რამეზე მეტყველებს.

ბავშვებს დაწყებითი კლასებიდან უნდა შევასწავლოთ პოლიტოლოგია და სახელმწიფო სამართალი. ბავშვებს ადრეული ასაკიდან უნდა ვასწავლოთ, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს.

იმის ნაცვლად, რომ მომავალმა თაობამ განათლება მიიღოს, ვხედავთ თუ როგორ ეწევიან მოზარდები ყველა ხის ძირში პლანს. ლხინის სუფრებზე 3 ჭიქის მერე სასმელს არავინ აღარ სვამს.

– სასმელს თუ არ დალევენ, ეს ცუდი არ არის.

– ცუდი ისაა, რომ 3 ჭიქის შემდეგ გადიან და პლანს ეწევიან. დაბოლილებს ღვინო რად უნდათ. ეს არის კატასტროფა. მიმდინარეობს თაობების განადგურება. ამას ხელისუფლებაც უწყობს ხელს. მისთვის განათლებული ახალგაზრდობა საშიშია.

არჩევნების მოპარვის შემდეგ ხელისუფლებამ ამოისუნთქა, მაგრამ ეს ამბავი ასე არ ჩაივლის. „ოცნება“ აუცილებლად აგებს ამაზე პასუხს. გვერდში დაგვიდგება დასავლეთი თუ დაინახეს, რომ ჩვენც მზად ვართ დემოკრატიის დასაცავად.

ექიმს თუ გვამს მიუტან და ეტყვი, მოარჩინეო, ექიმი ვერაფერს გააწყობს – მიცვალებული არ ცოცხლდება. მკვდარი უნდა წაიღო სასაფლაოზე და არა – საავადმყოფოში.

მკურნალმა თუ არ დაინახა, რომ პაციენტი გადარჩენისთვის იბრძვის, მას ვერაფრით დაეხმარება. ასე ვართ ჩვენც. დასავლეთმა თუ არ დაინახა, რომ ქართველი ხალხია აქტიური და იცავს დემოკრატიას, ვერაფერს მოიმოქმედებს.

დასავლეთმა შეშფოთება და აღშფოთება ისედაც გამოხატა. ამის იქეთ ვერ წავლენ. ეს ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩაითვლება. დასავლეთი რუსეთი არა, ვინმეს შეუვარდეს.

– ხალხი გააქტიურდება? ზემოთ თქვით, უიმედობა ჩაუსახესო.

– გააქტიურდებიან, იმიტომ, რომ სხვა გზა არ არსებობს. საქართველოში ერთპარტიული მმართველობა დიდხანს ვერ ქაჩავს. კარგი ხელისუფლებაც კი მომაბეზრებელია და ცუდი ხომ, მით უმეტეს. ამათ უკვე მეშვიდე წელია ვიტანთ და ასე გაგრძელება შეუძლებელია.

– მე შვიდე კი არა მეთექვსმეტე წელია, რაც ამათ ვუყურებთ – 9 წლის მანძილზე ესენი მამალი ნაცები იყვნენ.

– რა თქმა უნდა, ნაცები იყვნენ. მურუსიძე ნაცია, აბა ვინაა. ყველაზე უცნაური ისაა, რომ ის ნაცები გაქოცდნენ, ვისაც ხალხი და ოპოზიცია მკვლელებს და ბანდიტებს ეძახდა.

მოდით, ახლა ვნახოთ, ვინ დარჩა ნაციონალებში და ვის ეძახიან ქოცები მკვლელებს. ნიკა მელიას შეიძლება მკვლელი ეძახო, ან ლევან ხაბეიშვილს ჯალათი? არც ერთი მათგანი არ არის ტირანი. ვინც სისხლით არის დასვრილი, ყველა „ოცნებაშია“.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა პრეზიდენტობის კანდიდატად გრიგოლ ვაშაძე დააყენა.

– რატომ? არც ის ყოფილა ტირანი და სისხლიანი.

– არც ტირანი არ ყოფილა და კარგი დიპლომატიც არის, მაგრამ ამ ვითარებაში ის არ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტობის კანდიდატი. ოპოზიციას პრეზიდენტად ისეთი პიროვნება უნდა დაესახელებინა, ვისაც ქარიზმა აქვს. ასეთი არის შალვა ნათელაშვილი.

შალვამ, ამდენი გაყალბების მიუხედავად, პირველ ტურში 60.000 ხმა დააგროვა. ეს ოფიციალური მონაცემია, რეალურად სულ მცირე 100.000 ავიღეთ.

– ის ხმები სად წავიდა?

– სალომეს მიაწერეს. ჩვენს ლიდერს აქვს დიდი ქარიზმა. ის ოპოზიციის კანდიდატი რომ ყოფილიყო, ამ არჩევნებს აუცილებლად მოიგებდა.

რაც იყო, იყო, ახლა მთავარია, ჩვენი პოზიციები დავიცვათ. ოპოზიციამ ისევ განაახლა მოლაპარაკებები. ამ ქვეყანას კრიმინალ ქოცებს არ დავუთმობთ. ბევრი ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ ვადამდელ არჩევნებს მაინც უნდა მივაღწიოთ. მანამდე საარჩევნო კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს.

თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა, რუს ოლიგარქ ივანიშვილს სერიოზული სანქციები დაეკისრება. დასავლეთში რუს ოლიგარქებს ცუდი თვალით უყურებენ. აშშ-ში სტივ რასელს უკვე მომზადებული აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ივანიშვილის ანგარიშების გაყინვა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე ირანის 7 მოქალაქე პასუხისგებაში მისცა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე, საქართველოში მცხოვრები ირანის ისლამური რესპუბლიკის შვიდი მოქალაქე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები ე.წ. „ჰავალას“ მეთოდის გამოყენებით უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდნენ და დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ. კერძოდ, ისინი საქართველოდან ირანის ისლამური რესპუბლიკის საბანკო სისტემაში ფულადი გზავნილების განხორციელებას აღნიშნული საქმიანობისთვის საჭირო ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე, ქართული საბანკო სისტემის გვერდის ავლით ახდენდნენ. ბრალდებულები ფულადი თანხების კონვერტაციისა და გადარიცხვების სახით გაწეული მომსახურების სანაცვლოდ დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში – 2 097 000 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, აღნიშნულ საქმეზე წარმოებული გამოძიების ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საქართველოში მცხოვრები ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტები გამოავლინეს. სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, თბილისში მდებარე, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების ოფისებსა და საცხოვრებელ სახლებში ჩხრეკა ჩატარდა, რის შედეგადაც ამოიღეს დიდი ოდენობით ფულადი თანხა, „შავი ბუღალტერია“ და ირანული წარმოების ტერმინალები, რითაც დადასტურდა გარემოება, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტებს.

გამოძიება ჯგუფურად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„სოლიდარობის ერთჯერადი აქტი ჩვენს მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას, დაუბრუნდნენ სრულფასოვან ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას“

საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპი გახლავთ ის, რომ მოქმედი წესები თუ რეგულაციები ყველასთვის თანაბარი უნდა იყოს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ „ფეისბუქლაივში“ ინტერნეტმომხმარებლების მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ჰყავს ორი მტერი, რუსული ოკუპაცია და სიღარიბე.

– სიღარიბის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი წყაროა ჭარბვალიანობა და მისი დაძლევის გარეშე სიღარიბის დაძლევა გაგვიჭირდება. ჭარბვალიანობის გამომწვევი კი იყო უპასუხისმგებლო დაკრედიტების სისტემა. შესაბამისად, ე.წ. შავ სიაში ყოველი მესამე მოქალაქე აღმოჩნდა, რაც პრინციპულად მიუღებელია და ეს მეტყველებს პრობლემის მასშტაბებზე. ჩვენი ამოცანა იყო ამ პრობლემის პრინციპულად მოგვარება. რამდენიმე თვე ვმუშაობდით ამაზე და პარლამენტშიც ავიღეთ ვალდებულება. დიდი მადლობა ფონდ „ქართუს“, რომლის მხარდაჭერითაც ჩვენ შევძელით ამ პროექტის რეალიზაცია, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა მომხმარებელს ასევე ბოდიში მოუხადა ვალი.გე-ს მუშაობის პირველ საათებში წარმოქმნილი ხარვეზებისთვის და აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ვებგვერდზე განთავსებულია 6 ბანკის 400 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემები.

– ჩვენი მიზანი იყო, შეგვემსუბუქებინა ყოფა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ არასამართლიანი წესებიდან გამომდინარე უკვე დაზარალდნენ. ეს პროცესი გრძელდება. შედეგად, 600 ათას ადამიანზე მეტი ამოვა ე.წ. პრობლემური სიიდან და ახალ წელს შეხვდება ამ პრობლემის გარეშე. ეს ინიციატივა ეხება მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ შეძლეს სესხის გადახდა 1-ელ იანვრამდე და ძირი თანხა არ აღემატება 2 ათას ლარს, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა ასევე განმარტა, რომ თუ მოქალაქეს ვალი.გე-ზე პირადი მონაცემების შეყვანისას დაუფიქსირდა ვალი, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე ეს დავალიანება განულდება.

– საბაზრო ეკონომიკის სიჯანსაღე უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ წესი უნდა იყოს ყველასთვის თანაბარი და თუ ის ვინმეზე არ ვრცელდება, საქმე გვაქვს თაღლითობასთან. შეიძლება, დაისვას კითხვა, ხომ არ აღმოჩნდნენ უსამართლო მდგომარეობაში ის ადამიანები, ვინც ვალს იხდიდა. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ 600 ათას მოქალაქეზე, რომლებიც, რომ არა ის უპასუხისმგებლო დაკრედიტების სისტემა, რომელიც 2007 წლიდან დაიწყო, ამ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდნენ. ამიტომ დავარქვით ერთჯერადი სოლიდარობის აქტი, რომ ეს პრობლემა დავხუროთ და დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან, სადაც იქნება სამართლიანი დაკრედიტების სისტემა და გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი მოქალაქეები მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობას აღნიშნული პროექტის პოზიტიური მაკროეკონომიკური ეფექტის მოლოდინი აქვს.

– ხშირია შემთხვევა, როდესაც დასაქმებული იძულებულია, სთხოვოს დამსაქმებელს, არ ჩაურიცხონ თანხა ანგარიშზე, რადგან ჩამოეჭრება და თავის გასატანად საჭირო თანხა ფიზიკურად არ დარჩება. „შავ სიაში“ მოქალაქეების ასეთი რაოდენობა ხელს უწყობს ჩრდილოვან ეკონომიკას. ამ ინიციატივის განხორციელების შედეგად, ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ, დაუბრუნდნენ სრულფასოვან ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას. ის ხალხი, ვინც ამ პრობლემის გამო მოწყვეტილი იყო თავისი ეკონომიკური აქტივობის სრულფასოვნად განხორციელებას, მცირე ბიზნესის დაწყებას, გააგრძელებს საქმიანობას და როდესაც ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, ამას ძალიან პოზიტიური ეფექტი ექნება, – განაცხადა პრემიერმა.

„მიდგომა, რომ უცხოელები და ქართველები საკუთრების უფლებასთან მიმართებაში თანაბარუფლებიანები არიან, მართალი არ არის“

მიდგომა, რომ უცხოელები და ქართველები საკუთრების უფლებასთან მიმართებაში თანაბარუფლებიანები არიან, მართალი არ არის. მართალი არ არის საერთაშორისო სამართლითაც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, – ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა, ანა დოლიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

დოლიძე გამოეხმაურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მორატორიუმის მოხსნის თაობაზე და განაცხადა, რომ სასამართლომ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, როგორც დოლიძემ განმარტა, ახლა საკონსტიტუციო სასამართლო 2012 წელს მის მიერ მიღებულ მცდარ პოზიციას დაეყრდნო, როდესაც თქვა, რომ „არ შეიძლება განვასხვავოთ უცხოელი და ქართველი საკუთრების უფლებასთან მიმართებაში“.

დოლიძის პოზიციაა, რომ უცხოელებს შეიძლება დაუწესდეს შეზღუდვები, თუმცა აქ გამონაკლისია ექსპატრიანტები. მისი თქმით, ექსპატრიანტებს (ამ შემთხვევაში საქართველოდან წასული ბერძნები), რომლებსაც საქართველოში სამშობლო და ფუძე ჰქონდათ, პარლამენტის ორგანული კანონის მიხედვით, საკუთარი სახლკარის დაბრუნების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ.

– 2012 წლიდან იწყება საკონსტიტუციო სასამართლოს ეს პოზიცია, რომ არ შეიძლება განვასხვავოთ უცხოელი და ქართველი საკუთრების უფლებასთან მიმართებაში, სრულუფლებიანი სუბიექტი არისო. მაშინ შეცდა საკონსტიტუციო და ახლაც შეცდა, როდესაც ავტომატურად გაიზიარა ის ძველი გადაწყვეტილება (ანუ 2012 წლის გადაწყვეტილება) იმიტომ, რომ ეს მიდგომა – თანაბარუფლებიანები არიან უცხოელები და ქართველები საკუთრების უფლებასთან მიმართებაში – არ არის მართალი. მართალი არ არის საერთაშორისო სამართლითაც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე. უამრავი მაგალითი არსებობს ახალი ზელანდიით დაწყებული, სადაც ახლა დარეგულირდა არათუ მიწის, არამედ ბინების გაყიდვა, დამთავრებული მეზობელი სერბეთით, სადაც შეზღუდვებია დაწესებული უცხოელების მიერ ზოგადად, უძრავი ქონების შეძენაზე. ანუ საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ჩვენი კონტექსტი, სამართლებრივი პრინციპები როგორ განვითარდა ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში და ავტომატურად დაეყრდნო თავის ძველ პრეცედენტს. ეს არ იყო სწორი. მეორე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რატომ არ იყო სწორი – პირველ ორ გადაწყვეტილებაში საქმე გვაქვს უცხოელებთან. ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ექსპატრიანტებთან, ანუ საქართველოდან წასული ადამიანებთან. ეს ბერძნები ცხოვრობდნენ აქ და ასეთი ხალხი ძალიან ბევრია. მათ სამშობლო საქართველოში ჰქონდათ, შესაბამისად ჰქონდათ საკუთრება. უამრავი ხალხია ისეთი, ვინც 1990-იან წლებში აქედან წავიდა, ახლა კი ექსპატრიანტები თამაშგარე დარჩნენ. მათ აქ ფუძე, ბინა ჰქონდათ და ასეთი ბევრია. ჩემი პოზიციაა, რომ პარლამენტი, როდესაც მიიღებს შესაბამის ორგანულ კანონს, იქ უფლებები უნდა მისცეს კონკრეტულად ამ ჯგუფებს, ანუ ექსპატრიანტებს, – განაცხადა დოლიძემ.

მისივე განმარტებით, საქმე ისაა, რომ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მორატორიუმის მოხსნის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 17 დეკემბრის მერე რომ გამოეტანა, იქნებოდა უაზრო, ვინაიდან უკვე კონსტიტუციის ახალი რედაქცია შედის ძალაში.

– შესაბამისად იძულებული იყო, რომ ამ პერიოდში გამოეტანა გადაწყვეტილება. ავტომატურად დაეყრდნო 2012 წლის ძველ პრეცედენტს, სადაც საერთოდ სხვა შემთხვევა იყო. აქ ექსპატრიანტები გვყავს და იქ უცხოელები. ის იყო მცდარი თავის დროზე, იმიტომ, რომ საერთაშორისო სამართალი ბევრად წინ არის წასული იმის მერე და მიწის რესურსზე უზარმაზარი რეგულირება მიდის სხვადასხვა ქვეყანაში. ამის გაუთვალისწინებლობა იყო ძალიან მცდარი მიდგომაა სასამართლოს მხრიდან, – განაცხადა ანა დოლიძემ.

შეგახსენებთ, 7 დეკემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ დაწესებული მორატორიუმი.

ლუდი „ყაზბეგი“ შესაძლოა, გაიყიდოს

ლუდი „ყაზბეგი“ შესაძლოა, გაიყიდოს – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ განუცხადა.

მისი თქმით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამდენიმე კომპანიასთან, მათ შორის, „აისთან“.

– ამ ეტაპზე ლუდ „ყაზბეგის“ შესაძლო გასხვისებასთან მოლაპარაკებები რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს, მათ შორის არის „აისიც“. განიხილება ასევე სხვა კომპანიასთან გაერთიანებაც, – განაცხადა ბიზნესმენმა.

კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა მან „ყაზბეგის“ გასხვისება, თოფაძემ ეს არარენტაბელურობით ახსნა:

– ძალიან ბევრი კომპანია აწარმოებს ლუდს, ასევე დიდი რაოდენობით ხორციელდება იმპორტი. შესაბამისად, ლუდის წარმოება გახდა არარენტაბელური. ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი გასხვისება ან რომელიმე კომპანიასთან გაერთიანება, – განაცხადა თოფაძემ.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ლუდი „ყაზბეგის“ გარშემო მიმდინარეობს მოლაპარაკება, ეს არანაირად არ ეხება ლიმონათის წარმოებას.

როგორც ცნობილია, ლუდს „აისი“, კავკასიაში ზეინეკენ-ის ლიცენზირებული პარტნიორი კომპანია Global Beer Georgia 2017 წლის ზაფხულიდან აწარმოებს. კომპანია „ყაზბეგი“ კი 1994 წელს შეიქმნა და 1995 წელს პირველი ქართული ლუდი „ანანური“ გამოუშვა.

„თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის კუთხით დაწესებული რეგულაციები ტელეკომპანიების მხრიდან არ სრულდება“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის ლელა სტურუას ინფორმაციით, თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის კუთხით დაწესებული რეგულაციები ტელეკომპანიების მხრიდან არ სრულდება.

ლელა სტურუას თქმით, ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა გადაცემაში თამბაქოს მოხმარება ჩანს.

– ტელევიზიებთან დაკავშირებით ასევე მინდა ვთქვა, რომ უარს გვეუბნებიან იმ ვიდეორგოლის ჩვენებაზე, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მოვიქცეთ ზამთრის სეზონზე. გვწერენ, რომ თითქოს ჩვენ ამით კანონს ვარღვევთ და კანონის დარღვევისკენ ვუბიძგებთ. უარს გვეუბნება საზოგადოებრივი მაუწყებელიც, – აცხადებს ლელა სტურუა.

პარლამენტში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელიც თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის კუთხით დაწესებული რეგულაციების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა.

„ქართული მინის უცხოელებზე რეგისტრაციის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– მათ თავიანთი აზრი არ დაუფიქსირებიათ, მაგრამ, რაც მთავარია, თურმე იუსტიციის სახლში უცხოელების შეშვების პროცესის შეფერხება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსით, მაშინ, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები იღებენ ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას, თურმე ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, ხელისუფლების წყარო ვართ, ვიღებთ პირდაპირი დემოკრატიის გზით განზრახვას, წინ აღვუდგეთ ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას, არ გვაქვს პროტესტის უფლება.

მით უმეტეს, ჩვენს გადაწყვეტილებას უერთდებიან სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობის პირები. მინდა მადლობა გადავუხადო ახლად არჩეულ პრეზიდენტს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს (რომელმაც მხარი დაუჭირა აქციის მოთხოვნებს), იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრ ქალბატონ ანა დოლიძეს (რომელმაც სახელმწიფოებრივი განცხადება გააკეთა, რაც დაემთხვა ჩვენს მოთხოვნებს), აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ოთარ დანელიას (რომელმაც ჩვენი მხარდამჭერი განცხადება გააკეთა).

ჩვენი მხარდამჭერები არიან ასევე პარლამენტის უმრავლესობის წევრები, მაგალითად, ენძელა მაჭავარიანი, რომელმაც გამოთქვა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

– სამღვდელოებაც შემოგიერთდათ. მათ თქვენს აქციაზე ვხედავ.

– მადლობა მინდა გადავუხადო საპატრიარქოს, რომელმაც გააკეთა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი განცხადება და მძიმე შეფასება მისცა აღნიშნულ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს ყველაფერი გაკეთდა მას შემდეგ, რაც ეს აქცია დაიწყო.

– საკონსტიტუციო სასამართლო არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი სხვადასხვა დრო მიღებული გადაწყვეტილებების გამო. გაუგებარი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედება, რომ სულ ისეთ გადაწყვეტილებებს ღებულობს, რომელიც ხალხის აღშფოთებას იწვევს?

– საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო მარიხუანის მოქმედების ლეგალიზაციის გადაწყვეტილება. მანამდე ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული, სრულიად შეუსაბამო ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები, 70 გრამი ხმელი მარიხუანისა და 100 გრამი ნედლი მარიხუანის დასაშვებობის თაობაზე.

ეს ყველაფერი არის მოსამართლეთა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილებები. რა თქმა უნდა, ამის უკან რაღაც ძალა მოიაზრება.

– კერძოდ?

– ეს არის დივერსია სახელმწიფოებრივი აზროვნების წინააღმდეგ. ასეთი საკითხებით სუსი უნდა იყოს დაინტერესებული.

– რატომ?

– ასეთი ქმედებების შესწავლის მიზნით. როდესაც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო ისეთ გადაწყვეტილებას ღებულობს, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს, სუსმა ამაზე კომენტარი უნდა გააკეთოს, რასთან გვაქვს საქმე? საქმე ხომ არ გვაქვს ელიტურ კორუფციასთან, პოლიტიკურ წნეხთან.

გადახდილია ძალიან დიდი ოდენობით ქრთამი მოსამართლეებზე იმისთვის, რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილება მიიღოს გარკვეული კორპორატიული ინტერესების გამო.

– მაგალითად?

– არაბების, ან ირანის ბიზნესწრეების ინტერესების ლობირება. ასევე სახალხო დამცველი, რომელიც მხარს უჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, არის ლიბერალური ფაშიზმის წარმომადგენელი ინსტიტუტების სახალხო დამცველი.

– რატომ ამბობთ ამას?

– იმიტომ, რომ სახალხო დამცველი თავად არის ის პირი, რომელიც კონსერვატიული საზოგადოების ინტერესებს არ იცავს. იცავს მხოლოდ ლიბერალური საზოგადოების ინტერესებს, თორემ ჩვენ რომ ღამის 1 საათზე პოლიციაში გვიბარებენ და ამისთანა მამულიშვილური საქმისთვის პასუხისგებაში გვაძლევენ, ეს არ უნდა იყოს სახალხო დამცველის ინტერესის საგანი?!

– როგორც ვიცი, იუსტიციის მინისტრს უნდა შეხვედროდით. რა გარანტიაა, რომ მიუხედავად აქციისა, მიწა არ გაიყიდება?

– აქციის პირველ დღეს იუსტიციის მინისტრს ვთხოვეთ, 6 საათამდე გამოგვხმაურებოდა და განცხადება გაეკეთებინა. ჩვენ ვთავაზობდით სამ გამოსავალს: პირველი – გაფიცვის უფლების გამოყენებას, მეორე – საქართველოს პარლამენტს მიეღო ახალი მორატორიუმის შესახებ დადგენილება და მესამე – მინისტრის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით შეჩერებულიყო პროცესი.

– შიდა რეგულაციებით...

– დიახ, მიუხედავად იმისა, რომ შიდა რეგულაციებით დაუპირისპირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საბოლოო ჯამში, დროს მოვიგებდით და ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე, მოვახდენდით ამ ლეგიტიმური მიზნის გამართლებას, ანუ უდიდესი სიკეთე იქნებოდა დაცული.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ჩვენთან პირდაპირი დიალოგი არ ისურვა. თუმცა, მან საღამოს გააკეთა განცხადება, რომ არც ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის გაყიდვა იმ დღეს არ დარეგისტრირებულა. დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პროცესს ვაკონტროლებთ.

– ამ პროცესს როგორ აკონტროლებთ?

– ცენტრალური სერვერით და არც ერთი კვადრატული მეტრი მიწის ფართობი უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ნამდვილად არ არის დარეგისტრირებული. ეს არის სახალხო პროტესტის დამსახურება.

– თქვენ ცენტრალურ სერვერზე წვდომა გაქვთ?

– ჩვენ საშუალება გვაქვს, ვაკონტროლოთ სერვერზე არსებული ინფორმაცია რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სხვა საკითხია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა განაცხადები მიწის შესყიდვის თაობაზე მატულობს. მათი ოდენობა 2.500-ს გადასცდა, მაგრამ რეგისტრაციის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახალხო კონტროლი ამ შემთხვევაში ეფექტურია.

თათია სამხარაძემ შალვა რამიშვილს სექსუალური შევიწროების საქმე სააპელაციოშიც მოუგო

სექსუალური შევიწროების ბრალდებით დაწყებული დავა თათია სამხარაძემ შალვა რამიშვილს სააპელაციო სასამართლოშიც მოუგო.

გუშინ, 12 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილ თანამშრომელ შალვა რამიშვილს ბრალად ედება თათია სამხარაძის მიმართ სექსუალური შევიწროება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, შალვა რამიშვილს თათია სამხარაძის მიმართ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

თათია სამხარაძე განმარტავს, რომ საქმე არის პრეცედენტული და ეს ბევრ სხვა ქალს დაეხმარება, რომ საკუთარი უფლებები დაიცვან.

– ეს საქმე არის პრეცედენტული საქმე. 2 წელიწადზე უფრო მეტია, სასამართლოში ვიბრძვით კანონის არარსებობის პირობებში იმისთვის, რომ გენდერული დისკრიმინაციის ეს ფორმა დავადგინოთ. თავის მხრივ, ეს არ არის მხოლოდ ჩემი გამარჯვება, არამედ ეს ბევრ სხვა ქალს დაეხმარება საკუთარი უფლებების დაცვაში.

ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და მიიღოს კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანესი იქნება და ძალიან ბევრ ქალს გაუადვილებს ასეთი სახის დავების მოგებას სასამართლოში, – განაცხადა თათია სამხარაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელის, ანა აბაშიძის, თქმით, სააპელაციო სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

– აპელაციამ თქვა, რომ დიახ, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა სწორად და შალვა რამიშვილმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეავიწროვა ქალი დასაქმების ადგილას.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ერთის მხრივ იმიტომ, რომ განვითარდეს სასამართლო სისტემა ამ მიმართულებით, მეორე მხრივ, არსებითად ცვლის ქალთა მდგომარეობას საქართველოში და მომავალ მსხვერპლებს პრევენციულად იცავს, – განაცხადა ანა აბაშიძემ.

„ქალთა მოძრაობის“ დამფუძნებელი ბაია პატარაია ამბობს, რომ სექსუალურ შევიწროებაზე საზოგადოებაში ცნობიერება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ასევე, ბაია პატარაიას თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ კანონმდებლობა დროულად მიიღოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება შალვა რამიშვილი. ის აცხადებს, რომ დავას უზენაეს სასამართლოში გააგრძელებს.

– რადგან გადავწყვიტეთ გასაჩივრება, ესე იგი არ ვეთანხმებით, – აღნიშნა რამიშვილმა.

ბუკა ქუთელია: „ოქრო მე ვიპოვე. გათხრის დროს წერაქვი მოხვდა ქოთანს და გასკდა“

ვინ ემუქრება მესაფლავეებს

მესაფლავეები, რომლებმაც მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში საფლავის გათხრის დროს ოქროს და ვერცხლის მონეტები იპოვეს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

„კურიერთან“ საუბრის დროს მესაფლავე ბუკა ქუთელია ამბობს, რომ მათ მონეტების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ არაფერი იცოდნენ, რის გამოც, ნაპოვნი ნივთები ლომბარდში ჩააბარეს.

– პირადად მე ვიპოვე. გათხრის დროს წერაქვი მოხვდა ქოთანს და გასკდა. ვინც ვიყავით ბიჭები, გავიყავით, – ამბობს ქუთელია.

ერთ-ერთი მესაფლავის დედა ეკა დანელია კი აცხადებს, რომ ამ ამბის შემდეგ მის ოჯახს ემუქრებიან.

– არ ვიცოდით, რა იყო, შემდეგ წაიღეს ლომბარდში, ოქრო აღმოჩნდა და ჩააბარეს იქ. ახლა ფეისბუქში გვწერენ რაღაცებს, ვითომ გვაშინებენ, გვემუქრებიან. ვინ არის, ვერ გავარკვიე, – ამბობს ეკა დანელია.

„პრაიმტაიმმა“ 10 დეკემბერს ექსკლუზიურად გაავრცელა ინფორმაცია, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში საფლავის გათხრის დროს მესაფლავეებმა დიდი ოდენობით ოქროს და ვერცხლის მონეტები იპოვეს.

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი ყვება, 24 ნოემბერს გარდაცვლილის დასაკრძალად საფლავის გათხრა ჭირისუფლებმა მესაფლავეებს სთხოვეს, რომლებმაც მიწაში ჩამარხულ თიხის ქოთანში მოთავსებული სხვადასხვა ძვირფასი ნივთები, მათ შორის ოქროს და ვერცხლის მონეტები აღმოაჩინეს.

ინფორმაცია ცნობილია კულტურის სამინისტროსთვის და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, რათა ექსპერტიზის მეშვეობით დადგინდეს ძვირფასი ნივთების დათარიღებისა და წარმომავლობის საკითხი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ქურდობის ფაქტზე დაიწყო.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველების მიერ სრულად ამოღებულია ფულის სანაცვლოდ ჩაბარებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ასევე გამოძიების ფარგლებში ექსპერტიზის მიზნით ამოღებულია მუზეუმისთვის გადაცემული ნივთები და ყველა ნივთი ამ დროისთვის დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ნივთმტკიცებებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ოთახში.

ადგილობრივების გადმოცემით, მონეტები, სავარაუდოდ, რამდენიმე საუკუნეს ითვლის, თუმცა ეს ოფიციალურად მას შემდეგ გაირკვევა, რაც შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა გახდება ცნობილი.

„პირველად დავინახე ნაცემი გოგა ხაინდრავა, რომელსაც ბორკილები დაადეს“

7 ნოემბრისა და იმედის დარბევის საქმეზე ჩვენება გაჩეჩილაძემ, კუკავამ და ძიძიგურმა მისცეს

7 ნოემბრისა და „ტელეიმედის“ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში 4 მოწმე გამოიკითხა.

ლევან გაჩეჩილაძემ, კახა კუკავამ, ზვიად ძიძიგურმა და ბადრი პატარკაციშვილის მეგობარმა, ტარიელ შავერდაშვილმა იმ სისასტიკეზე ისაუბრეს, რასაც სპეცრაზმი აქციის მონაწილეთა მიმართ იჩენდა.

მაშინდელი ოპოზიციის წარმომადგენლები ტელეიმედში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრისას შენობაში იმყოფებოდნენ.

როგორც პროცესზე ლევან გაჩეჩილაძემ თქვა, მაშინ 7 ნოემბრის აქციებზე მათ პოლიტიკური მოთხოვნები ჰქონდათ. კერძოდ, გირგვლიანის საქმის გამოძიება, საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში დაბრუნება და პოლიტპატიმრების გათავისუფლება.

მან 7 ნოემბერს მომხდარი ამბავი ასე აღწერა:

– ხორცის გასატარებელი მანქანასავით იყო, არ ინდობდნენ ხალხს. პირველად დავინახე ნაცემი გოგა ხაინდრავა, რომელსაც ბორკილები დაადეს. ვნახე, როგორ წაართვეს კამერები მედიას. მერე მომრავლდნენ შავნიღბიანები და კიდევ უფრო მეტი სისასტიკე იყო. სპეცრაზმელებმა შემათრიეს სადღაც, გავითიშე, როდესაც თვალი გავახილე, სასწრაფო დახმარების მანქანაში ვიყავი, რომელსაც მე და ჩემი ძმა მივყავდით, – თქვა გაჩეჩილაძემ.

პროცესზე 7 ნოემბრის მოვლენები გაიხსენა ზვიად ძიძიგურმაც.

მისი თქმით, ეს აქცია მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან სადამსჯელო ღონისძიება იყო.

– მაქვს ეჭვი, რომ ისინი სააკაშვილის პარტიული აქტივისტები ანუ ე.წ ზონდერები იყვნენ. ჯინსებიანი ადამიანებისგან საკმაოდ უწმაწური სიტყვები ისმოდა, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილზე. მიხეილ სააკაშვილის გარეშე არაფერი წყდებოდა, – თქვა ძიძიგურმა.

პროკურატურამ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის და მისი დარბევის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ერეკლე კოდუა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით პასუხისგებაში მისცა.

ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და დავით კეზერაშვილს პატიმრობა 2014 წლის 1 აგვისტოს შეეფარდათ.

„ჩემი შვილი სახლში სასტიკად ნაცემი მოვიდა“

ბოლნისში 13 წლის მოზარდი გარდაიცვალა

ბოლნისში 13 წლის მოზარდი გარდაიცვალა. ისმაილ ბადალოვი 1 თვის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა.

ოჯახის წევრების თქმით, მოზარდს თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს, რამაც ბიჭის კომამდე მიყვანა გამოიწვია.

ბადალოვების მტკიცებით, მათი შვილი სახლში ნაცემი მივიდა, თავი სტკიოდა, სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, ბავშვს სამედიცინო დახმარება სახლში აღმოუჩინეს, თუმცა ის მალევე კომაში ჩავარდა.

– ჩემი შვილი სახლში სასტიკად ნაცემი მოვიდა, – აცხადებს იდაიფ ბადალოვი.

მისივე მტკიცებით, თავდამსხმელის ვინაობა ცნობილია, თუმცა, სამართალდამცავები მას არ აკავებენ, რადგან ის არასრულწლოვანია.

თანასოფლელი ბავშვები ცემის ფაქტს უარყოფენ, ამბობენ, რომ ისმაილს ხელი კრეს და ის დაეცა.

სამართალდამცავებმა უკვე გამოკითხეს მოზარდის თანასოფლელები. ბავშვები ცემის ფაქტს უარყოფენ.

ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლითაა დაწყებული, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებას გულისხმობს.

გარდაცვლილი მოზარდის ცხედარს 11 დეკემბერს გვიან ღამით ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზა ჩაუტარდა და ის ბოლნისში, სახლში გადაასვენეს.

ვარკეთილში ვისოლის საფეხურიდან 100 ლარი გაიტაცეს

ვარკეთილში ყაჩაღობა მოხდა.

11 დეკემბერს, გვიან ღამით სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურიდან თავდამსხმელებმა 100 ლარი წაიღეს.

უცნობია, იყვნენ თუ არა თავდამსხმელები შეიარაღებულები.

ადგილზე გვიან ღამემდე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. საქმეზე გამოძიება ყაჩაღობის მუხლით მიმდინარეობს.

კომპანია „სვეტის“ მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა

კომპანია „სვეტის“ მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა, რომელიც ადგილზე დაიღუპა.

სამშენებლო სამუშაოები ადგილზე ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს.

რამდენადაც ცნობილია, გარდაცვლილი მუშა ობიექტზე სამშენებლო იარაღების ასაღებად მივიდა.

ემზარ ზურაბიშვილს ჭაბუა გუშარაშვილზე თავდასხმისთვის წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

წყნეთში, რესტორან „წისქვილთან“ მომხდარი ინციდენტის გამო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელს სასამართლომ 11 დეკემბერს, გვიან ღამით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ემზარ ზურაბიშვილს საგნის იარაღად გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობა ედება ბრალად, რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

დაცვის მხარე გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში გეგმავს.

გამოძიების ინფორმაციით, ზურაბიშვილმა ციხეებზე ზედამხედველობის სამსახურის მაღალჩინოსანს, ჭაბუა გუშარაშვილს, თავის არეში საგნის ჩარტყმით დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიცია ამ დრომდე ეძებს კიდევ ერთი პირს.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ რესტორან „წისქვილში“ მოხდა. ინციდენტის დროს 3 პირი ცივი იარაღით დაჭრეს, მათ შორის იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ზვიად მიხანაშვილი და პრობაციის სამსახურის უფროსის მოადგილე, ირაკლი ჭითანავა.

ქალეიდოსკოპი

ყველაზე ლამაზი თევზის გამყიდველი ჩინელია

ჩინელმა გოგონამ პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, როდესაც დახლთან გადაღებული მისი ფოტოსურათი ინტერნეტში თევზის ბაზრობის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა.

ტაივანის პროვინციის მკვიდრის, 26 წლის ლიუ პენპენის ფოტოსურათი

გამოაქვეყნა მამაკაცმა, რომელიც ბაზარში თევზის საყიდლად დედასთან ერთად იყო მისული. აღმოჩნდა, რომ გოგონას 13 წლის ასაკიდან დროდადრო უწევს დახლთან დგომა, რათა ხანდახან დედას დაეხმაროს. გოგონამ თავადაც ნახა გამოქვეყნებული ფოტოსურათი და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა.

მეორე დღეს კი დახლთან თაყვანისმცემლების რიგი მოეწყო.

– გაოგნებული ვარ ასეთი რეაქციით. საკუთარ თავზე ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი, ამის დაჯერება რთულია, – აღიარა ლიუმ. ის მოდელადაც მუშაობს და საკუთარი ვიდეობლოგიც აქვს.

– გულახდილად ვიტყვი, მირჩევნია, რომ ყველა იმ ადამიანმა, რომლებიც დგანან და ფოტოებს მიღებენ, უფრო მეტი ჩვენი თევზი იყიდონ, – განუცხადა გოგონამ ჟურნალისტებს.

აშშ-ში ანომალიურად პატარა ხბო დაიბადა

აშშ-ში ანომალიურად პატარა ზომის ხბო გაჩნდა და ის „მსოფლიოში ყველაზე პატარა ძროხად“ გამოაცხადეს.

ლილ ბელი, ასე დაარქვეს ხბოს, დაახლოებით 4,5 კილოგრამს იწონის, იმდენივეს, რამდენსაც მოზრდილი შინაური კატა და ათჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე მისი ასაკის ჩვეულებრივი ხბოები. მისმა შეშფოთებულმა პატრონებმა იმის გამო, რომ ცხოველს სუნთქვის პრობლემები ჰქონდა, ის მისისიპის შტატის უნივერსიტეტის ვეტერინარიის კოლეჯში მიიყვანეს.

ექიმებმა ხბო გასინჯეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სავარაუდოდ, ხანგრძლივი თერაპია ცხოველს გადარჩენაში დაეხმარება. სასწავლო დაწესებულების გვერდზე ნათქვამია, რომ ლილ ბილის პატრონებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი მის სათანადოდ მოვლას ვერ შეძლებენ, მასზე უარი თქვეს და სამკურნალოდ ვეტერინარებს გადასცეს.

ექიმ გრეტჰენ გრისეტის თქმით, ლილ ბილი ნელ-ნელა ნორმაში მოდის და უკვე ჩვეულებრივი ხბოსავით იქცევა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე პატარა მოზრდილ ძროხად ითვლება ცხოველი ინდოეთიდან, სახელად მანიკიამი. მისი სიმაღლე ჩლიქის ძირებიდან რქების წვერამდე სულ რაღაც 61 სანტიმეტრს შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სომხეთში რუსმა ჯარისკაცმა მეეზოვე ქალი მოკლა

სომხეთი რუსეთის გეოპოლიტიკური მოკავშირეა. რესპუბლიკაში რუსული არმიის ყოფნასაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მიესალმება, თურქებისაგან გვიცავსო. ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ სომხეთი აზერბაიჯანსა და თურქეთს სამკვდრო–სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. რუსული ბაზების არსებობაც სომხებმა თურქული საფრთხისგან დამცავ ერთადერთ საშუალებად მიიჩნიეს.

მიუხედავად ამისა, რუსებსა და სომხებს შორის არაერთგზის მოხდა ინციდენტები. მიზეზი რუსეთის არმიაში არსებული უდისციპლინობა და ლოთობაა. მთვრალი რუსი ჯარისკაცები ადგილობრივ მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებენ, ან სულაც შინ აკითხავენ და სპირტიან სასმელს მოითხოვენ.

– თურქებისაგან გიცავთ, შენ კი ჩვენთვის არაყიც არ გემეტება!

კონფლიქტების ეპიცენტრი პატარა სომხური ქალაქი გიუმრი გახდა, სადაც რუსმა ჯარისკაცმა მეეზოვე ქალი მოკლა. სომხეთის გენერალურმა პროკურატურამ ინფორმაცია დაადასტურა, თუმცა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა. არ სახელდება არც რუსი ჯარისკაცის, არც მოკლული სომეხი ქალის გვარები.

მეეზოვის მკვლელობა გიუმრიში მომხდარი ერთადერთი დანაშაული არაა. ცოტა ხნის წინ მთელი სომხეთი ამ ქალაქში მომხდარმა სისხლისღვრამ შეძრა: რუსმა ჯარისკაცმა პერმიაკოვმა ავეტიკიანების მთელი ოჯახი ამოწყვიტა. პერმიაკოვი შეეცადა, თურქეთში გადასულიყო. ის საზღვარზე დააკავეს. რუს ჯარისკაცს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

რა რეზონანსს იქონიებს მეეზოვის მკვლელობა? მეზობელ აზერბაიჯანთან ომის მდგომარეობაშია, აზერბაიჯანის უკან კი თურქეთი დგას. მართალია, სომხეთის უკანასკნელ არჩევნებში რეფორმატორებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს საგარეო პოლიტიკაში ბევრს არაფერს შეცვლის. ახალ პრემიერ პაშინიანს სურს ევროინტეგრაცია, ქვეყნის ნატოში განევრიანება, მაგრამ სურვილი ერთია, რეალობა – მეორე.

– აზერბაიჯანთან კონფლიქტის შედეგად სომხეთი ხაფანგში აღმოჩნდა. მას რუსეთის იქით სხვა გზა აღარ აქვს, – წერს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

სომხეთმაც რუსი ჯარისკაცების თავგასულობა უნდა მოითმინოს.

როდემდე?! დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

სროლა სტრასბურის ცენტრში

დაიღუპა 3, დაიჭრა 12 ადამიანი

11 დეკემბერს საღამოს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურის ცენტრში, საშობაო ბაზრობაზე, უცნობმა პიროვნებამ სროლა ატეხა.

სროლის შედეგად დაიღუპა 3, დაიჭრა 12 ადამიანი.

მკვლელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მისი ვინაობა დადგენილია. თავდამსხმელი 29 წლისაა. იგი პოლიციისთვის ცნობილი იყო შესაძლო ტერორისტული საფრთხის გამო. მას პოლიცია ქურდობისთვის ეძებდა. იგი სამშაბათს საკუთარი ბინიდან გაიქცა. ის, სავარაუდოდ, დაჭრილია

სამძებრო სამუშაოების დროს სამართალდამცველებმა მას ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოუჩინეს. ევროპარლამენტი, რომელიც შემთხვევის ადგილთან ახლოს მდებარეობს, დაიკეტა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, ქვეყანაში სასაზღვრო კონტროლი გამკაცრდა, ამასთან, გამკაცრდება უსაფრთხოების ზომები ყველა საშობაო ბაზრობის მიმდებარედ.

აშშ-ის კონგრესმა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

აშშ-ის კონგრესმა მიიღო უკრაინის მხარდამჭერი მორიგი რეზოლუცია. ის ქერჩის სრუტეში მომხდარ ინციდენტს შეეხება.

რეზოლუციაში რუსეთის ქმედება აგრესიადაა შეფასებული. კონგრესმენები პრეზიდენტ ტრამპს მოუწოდებენ, რომ რუსეთის მიმართ შესაბამისი ზომები მიიღოს.

კონგრესმა აგრეთვე მიიღო რეზოლუცია „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის წინააღმდეგ. მასში ნათქვამია, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ რუსეთის გეოპოლიტიკური პროექტია. მისი მიზანი ევროპაზე რუსეთის გავლენის გაზრდაა.

რეზოლუცია ამის გამო სანქციების შემოღებას ითვალისწინებს.

– აშშ-ის კონგრესმა ცალსახა მხარდაჭერა გამოგვიცხადა! ეს დროული და აუცილებელი ნაბიჯია, – ასე აფასებს მომხდარს უკრაინის ელჩი აშშ-ში ჩალიი.

შტაზი-ს არქივში პუტინის სახელზე გაცემული მოწმობა იპოვეს

გაზეთ „ბილდის“ ცნობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) საიდუმლო პოლიციის (შტაზი) არქივებში პუტინის სახელზე გაცემული მოწმობა იპოვეს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სუკის ოფიცერი ვლადიმერ პუტინი გდრ-ში მუშაობდა. ის ქალაქ დრეზდენში იმყოფებოდა და სუკის დავალებებს ასრულებდა.

შტაზის მიერ გაცემული მოწმობა საშუალებას აძლევდა პუტინს, გდრ-ის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებულიყო, შესულიყო შტაზის ნებისმიერ საიდუმლო ოფისში. ამას გარდა, მას შეეძლო გადაებირებინა მოქალაქეები, თანაც ისე, რომ თავი შტაზის თანამშრომლად გაესაღებინა.

წლის ადამიანებად ჟურნალისტები დაასახელეს

ჟურნალმა „ტაიმმა“ წლის ადამიანებად ის ჟურნალისტები დაასახელა, ვინც სიცოცხლის რისკის ფასად თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებს.

მათ შორის არის საუდის არაბეთის მოქალაქე, ჟურნალისტი ჰაშოგი, მხეცურად მოკლეს. ამ სიაში მოხვდა „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტი ტატიანა ფოლკენგაუერიც. მას თავს დაესხნენ და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. წლის ადამიანების რიცხვში ჟურნალისტი ბაბჩენკოც შეიყვანეს. მისი სახელი უკრაინაში რუსული სპეცსამსახურების ტერორისტული საქმიანობის გაშუქებაში ფიგურირებდა.

– ბაბჩენკომ რუსეთის სპეცსამსახურების მხილებისას უდიდესი როლი ითამაშა, – წერს „ტაიმი“.

სტოლტენბერგი: „რუსეთის აგრესიული პოლიტიკა არ შეიცვლება“

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში მოსკოვი კვლავ გააგრძელებს ზეწოლას უკრაინაზე. იქნება ახალი პროვოკაციები. არ არის გამორიცხული დივერსიები და ტერორი.

– რუსეთის აგრესიული პოლიტიკა არ შეიცვლება, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინი ჩრდილოატლანტიკურ ბლოკს არჩევანს არ უტოვებს. ამიტომ ნატო რუსეთის შეკავების პოლიტიკას გააგრძელებს.

– ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დიალოგზე უარს ვამბობთ! – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გიორგი გაბედავა: „ბომბარდირობაზე არ ვფიქრობდი“

ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გიორგი გაბედავაა, რომელმაც აწ უკვე დასრულებულ სეზონში 22 გოლი გაიტანა და დინამოელ ბუდუ ზივზივაძესთან ერთად ბომბარდირი გახდა.

საჩხერის ჩიხურას 28 წლის შემტევმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის ფაქტიც, რომ იმერლები ევროსაგზურს დაეუფლნენ.

– ჩემპიონატის დაწყებამდე ჩიხურა არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა, ამის გათვალისწინებით მოულოდნელი აღმოჩნდა გუნდის ლიდერთა შორის ყოფნა და ევროსაგზურის მოპოვება.

– მართალია, ჩიხურადან ბევრი მოთამაშე წავიდა, მაგრამ გუნდი ახალგაზრდებითაც შეივსო. პრაქტიკულად, ახალი გუნდი გაკეთდა. ვარაუდობდნენ, რომ ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებდით, მაგრამ როგორც ხედავთ, მათი ვარაუდი არ გამართლდა. გუნდს სეზონის წინ კონკრეტული მიზანი არ დაუსახავს, ამასთან, ძნელია ახლად შექმნილ გუნდს ევროსაგზურისთვის ბრძოლა მოსთხოვო, მაგრამ თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯებოდით და შედეგიც სახეზეა.

– 22 გოლით ბუდუ ზივზივაძესთან ერთად საუკეთესო ბომბარდირი გახდით.

– ეს პირველ რიგში ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა, თუმცა კიდევ მეტის გატანა შემეძლო, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენე. მთავარი კლუბის წარმატებაა, მაგრამ ბუნებრივია, ნებისმიერ ფეხბურთელს უხარია გოლის გატანა და გამონაკლისი არც მე ვარ. ჩემთვის ბომბარდირობა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა და მეგოლეებში რომ ვლიდერობდი, შესაძლოა, ესეც დამეხმარა. მე რომ ვიფიქრო, გინდა თუ არა კონკურენტებს გავასწრო-მეთქი და აქედან გამომდინარე ვითამაშო, ბომბარდირი ვერასოდეს გავხდები და შესაძლოა, გუნდისთვისაც საზიანო ვიყო. უნდა ითამაშო გუნდურად, შენი საქმე აკეთო და აქედან გამომდინარე თუ შეაგდებ, ხომ კარგი.



– ცენტრალური თავდამსხმელი არ ყოფილხართ, ამპლუა წელს შეგიცვალეს.

– დიახ, გაგრას შემდეგ არ მითამაშია ცენტრფორვარდად, ადრე ჩიხურაში ფლანგიდან ვუტევდი.

– ჩიხურამ მიმდინარე სეზონში არაერთი რთული მატჩი მოიგო, მაგრამ სტაბილური ფორმის შენარჩუნება გუნდს მაინც უჭირდა.

– ესეც იმ პროცესის ნაწილია, რაზეც ვისაუბრეთ – სოსო ფრუიძეს პრაქტიკულად ჩემპიონატის მსვლელობისას მოუწია გუნდის შექმნა, ჯერჯერობით ჩვენი თამაშის ძიებაში ვართ და ამის გათვალისწინებით, არასტაბილურობაც ლოგიკურია, მაგრამ წინ კიდევ ბევრი თამაშია და უფრო შევთამაშდებით.

– რომ არა ტრავმები, როგორ ფიქრობ, სხვანაირად წარიმართებოდა შენი კარიერა?

– პირველ რიგში, ჩემ თავში ვეძებ მიზეზს, სად რა დავაკელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტრავმებმა ბევრი დრო დამაკარგვინა... ფეხბურთელის საუკეთესო ასაკში, 23-24 წლისას, ძალიან ბევრი გამიცდა და, ბუნებრივია, ამან შემაფერხა. არ იყო სწორი გადაწყვეტილება, როდესაც კარიერის დასაწყისშივე უკრაინაში წავედი, იმ ასაკში სხვა არჩევანი უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ და მჯერა, კიდევ მოვუმატებ.

– და ბოლოს: რას ფიქრობ ეროვნულ ლიგაზე?

– ეროვნული ლიგა პროგრესირებს, უმჯობესდება ინფრასტრუქტურა და დაფინანსების ახალი სისტემით გუნდებს ის პრობლემები აღარ აქვთ, რაც წლების წინ ჰქონდათ. მაგრამ ყველამ ხომ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს წინსვლა. ბევრი გვაქვს დაკარგული და ამის აღმოფხვრას ახლაღა ვცდილობთ.

ქართველთა კარგ თამაშს გუნდებმა ვერ უპასუხეს

ზაზა ფაჩულიას გუნდი ფილადელფიასთან სტუმრად 102:116 დამარცხდა, რაც 34 წლის ქართველი ცენტრის გუნდისთვის ზედიზედ მეხუთე წაგებაა. მანამდე, დეტროიტელებს ზედიზედ 5 მოგებული ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში პისტონსის მთავარმა მწვრთნელმა დუეინ კეისიმ გუნდის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედის, ბლეიკ გრიფინის დასვენება გადაწყვიტა და, რა გასაკვირია, რომ გუნდს ლიდერის გარეშე გაუჭირდა.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას: პისტონსის ქართველმა ცენტრმა 11 წუთი ითამაშა და ისევ 6 ქულა ჩააგდო, როგორც ნიუ ორლეანთან. ზაზამ პარკეტზე გატარებულ დროში 6 ქულა, 4 მოხსნა (ოთხივე შეტევაში) და 3 პასი დააგროვა. მან შვიდიდან ორი 2-ქულიანი ჩააგდო და ორივე საჯარიმო ზუსტად ესროლა. აღსანიშნავია, რომ ზაზას სამქულიანის მცდელობაც ჰქონდა – ოღონდ, ეს ბოლო წამზე, ჩაჭრის შემდეგ საკუთარი მოედნიდან ნატყორცნი ბურთია, რომელიც არ ჩავარდა.

ზედიზედ მეხუთე მარცხის შემდეგ, დეტროიტი აღმოსავლეთ კონფერენციაში 13 მოგებითა და 12 წაგებით მე-6 ადგილზეა. ფაჩულიას გუნდი მომდევნო მატჩს უშუალო კონკურენტ შარლოტთან გამართავს, რომელიც მე-7 ადგილზეა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშის შემდეგ გოგა ბითაძემ კლუბში პირველი მატჩი გამართა და კვლავ საუკეთესო გახდა. მისი მეგა ბიმაქსი მონტენეგროში ადრიატიკის ლიგის მოქმედ ჩემპიონსა და ახლაც ტიტულის დასაცავად მომართულ ბუდუჩნოსტს შეხვდა და დიდ ბრძოლაში – 85:91 დამარცხდა.

ბითაძე ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 32 წუთი გაატარა, სანამ მე-5 პერსონალურ ფოლს მიიღებდა. გოგამ 14-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 23 ქულას 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 4 დაფარება წაამატა.

ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. შედეგად, მატჩის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული სწორედ ჩვენებურს ერგო. და კიდევ: ბითაძის მიერ ბუდუჩნოსტის ფორვარდ ფილიპ ბაროვიჩზე დაფარება მე-10 ტურის საუკეთესო ეპიზოდად აღიარეს.

მეგა ბიმაქსს 7 მოგება და 3 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი შინ, ერთპიროვნულ ლიდერ ცრვენა ზვეზდასთან ჩაატარებს.

ლივერპულმა საჭირო ანგარიშით მოიგო, ბარსელონამ რეკორდი გაიმეორა

ა ჯგუფი

ბრიუგე-ატლეტიკო 0:0

ბრიუგე. იან ბრეიდელსტადიონი

ატლეტიკოს ერთი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი – მოეგო და ჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და დორტმუნდს დამატებითი მაჩვენებლით ჩამორჩა.

ბრიუგეს მოტივაცია არ ჰქონდა, მაგრამ მეტოქეს ბრძოლა გამოუცხადეს. თუმცა, არც დიეგო სიმეონეს გაუყვანია მოედანზე ოპტიმალური შემადგენლობა. ესეც ერთგვარი მიზეზი იყო, რომ გუნდი მაღალ სისწრაფეზე ვერ თამაშობდა. პირველ ტაიმში მადრიდელები შედარებით უკეთესად გამოიყურებოდნენ და ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ. მეორე ტაიმში ატლეტიკომ ტერიტორიული უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა, მაგრამ საგოლე მომენტები აღარ შექმნილა. სამაგიეროდ, ბრიგეს შეექმნა, მაგრამ იან ობლაკმა ატლეტიკო მარცხისგან იხსნა.

მონაკო-დორტმუნდი 0:2

მონაკო. ლუი II

0:1, 0:2 გერერო (15, 88)

მონაკოს ყველა იმედი გადაწურული ნაადრევად ჰქონდა, მაგრამ „თავადები“ შეეცადნენ საკუთარი გულშემატკივარი გაეხარებინათ. იბრძოლა კიდეც, მაგრამ უფრო კლასიან გუნდთან ვერაფერი გააწყო.

საბოლოო ცხრილი:

1.დორტმუნდი	6	4	1	1	10:2	13
2.ატლეტიკო	6	4	1	1	9:6	13
3.ბრიუგე	6	1	3	2	6:5	6
4.მონაკო	6	0	1	5	2:14	1

ბ ჯგუფი

ბარსელონა-ტოტენჰემი 1:1

ბარსელონა. ნოუ კამპი

1:0 დემბელე (7), 1:1 ლუკას მოურა (85)

ტოტენჰემი „კამპ ნოუზე“ სენსაციის მოსახდენად ჩავიდნენ. ეს საქმე სანახევროდ გამოუვიდათ, მაგრამ პსვ-ს დახმარებით მაინც ბოლომდე მიიყვანეს. „დეზები“ ფლეი ოფში გავიდნენ, რადგან ინტერს დამატებით მაჩვენებლით აჯობეს.

ტოტენჰემმა სწრაფი გოლი გაუშვა და თავი რთულ მდგომარეობაში ჩაიყენა, მაგრამ მაურისიო პოჩეტინოს გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და ლუკას მოურას გვიანი გოლით საწადელს მიაღწია.

ბარსელონას ევროპული საკლუბო ტურნირის რეკორდის გამეორებისთვის ტოტენჰემთან ფრეც ეყოთ. ლონდონელებთან გამართული დაპირისპირება „კამპ ნოუზე“ ჩემპიონთა ლიგის ეგიდით ჩატარებული ზედიზედ 29-ე მატჩი იყო, რომელშიც ბარსამ არ წააგო. „ბლაუგრანამ“ ამით მიუნხენის ბაიერნის მიერ 1998-2002 წლებში დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

არადა, ბარსამ, „კამპ ნოუზე“, ჩემპიონთა ლიგაზე, ბოლოს სწორედ ბაიერნთან წააგო. ეს 2013 წლის მაისში მოხდა. მას შემდეგ, საკუთარ მოედანზე ჩატარებული 29 დაპირისპირებიდან კატალონიელებმა 26 მოიგეს და 3 ფრედ დაასრულეს (ატლეტიკოსთან 1:1, იუვენტუსთან 0:0, ტოტენჰემთან 1:1).

ინტერი-პსვ 1:1

მილანი. სან სირო

0:1 ლოსანო (11), 1:1 იკარდი (73)

ინტერი საკუთარ თავზეც იყო დამოკიდებული და პარალელურად „კამპ ნოუზე“ ბარსელონას იმედად იდგა. კატალონიელებმა მათი საქმე მეტ-ნაკლებად გააკეთეს, მაგრამ თავად ვერ მოახერხეს პსვ-ს დამარცხება და ევროპის ლიგაზე გადაინაცვლეს.

საბოლოოდ, ინტერს „სან სიროზე“ ერთი გოლი დააკლდა, რადგან ტოტენჰემმა ბარსელონიდან ქულა წაიღო, რაც მილანელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

საბოლოო ცხრილი:

1.ბარსელონა	6	4	2	0	14:5	14
2.ტოტენჰემი	6	2	2	2	9:10	8
3.ინტერი	6	2	2	2	6:7	8
4.პსვ	6	0	2	4	6:13	2

გ ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა-პსჟ 1:4

ბელგრადი. რაიკო მიტიჩი

0:1 კავანი (10), 0:2 ნეიმარი (40), 1:2 გობელჯიჩი (59), 1:3 მარკინიოსი (73), 1:4 მბაპე (90)

სერბეთში სენსაცია არ შედგა. ცრვენა ზვეზდამ პსჟ-მდე შინ კარგად ითამაშა და ნაპოლისაც და ლივერპულსაც ქულები აართვა. ამჯერად კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – პარიზულმა კლუბმა დამაჯერებლად მოიგო არამარტო თამაში, არამედ ჯგუფიც.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად კილიამ მბაპე უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც თითქმის ყველა გოლში მიიღო მონაწილეობა. თინეიჯერმა ტალანტმა 2 საგოლე პასი გააკეთა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც თავად დააფიქსირა.

ლივერპული-ნაპოლი 1:0

ლივერპული. ენფილდი

1:0 სალაჰი (34)

ნაპოლის ფრეც ჰყოფნიდა, თუმცა, თუ გოლსაც გაიტანდა, მაშინ ლივერპულს ორით მეტი უნდა გაეტანა. ამიტომ მერსისაიდელები დაცვაში ყურადღებით იყვნენ, რადგან შემდეგ იტალიური დაცვის გარღვევა გაუჭირდებოდათ. ამიტომაც იყო, ფრთხილ თამაშში მომენტების შექმნა რომ ჭირდა, მაგრამ ლივერპულმა თავისი პირველივე შანსი გამოიყენა.

შესვენების შემდეგ ლივერპულელები უფრო უტევდნენ, რადგან ნაპოლის შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ. მომენტებიც ბლომად შეიქმნა იტალიელთა კართან, მაგრამ ლივერპულის შემტევები „საოცრებებს“ ჩადიოდნენ და რეალურ შანსებს ზედიზედ ანიავებდნენ. თითქოს ამის გამო მასპინძლები უნდა დასჯილიყვნენ, იყო კიდეც ამის საფუძველიც და შანსიც, მაგრამ ალისონ ბეკერმა საოცარი სეივი განახორციელა და ზედ საფინალო სასტვენის წინ არკადიუშ მილიკს სამიოდე მეტრიდან არ გაატანინა.

საბოლოო ცხრილი:

1.პსჟ	6	3	2	1	17:9	11
2.ლივერპული	6	3	0	3	9:7	9
3.ნაპოლი	6	2	3	1	7:5	9
4.ცრვენა ზვეზდა	6	1	1	4	5:17	4

დ ჯგუფი

შალკე-ლოკომოტივი 1:0

გელზენკირხენი. ველტინს არენა

1:0 შოპფი (90)

ვერ შეძლო მოსკოვის ლოკომოტივმა სასურველი შედეგი წამოეღო გელზენკირხენიდან და ევროტურნირებს დაემშვიდობა. არადა, ბოლო წუთებამდე მათთვის საქმე კარგად მიდიოდა – სტამბოლში პორტუ უგებდა გალათასარაის და ლოკოს ფრეც ჰყოფნიდა. ნულები ტაბლოზე 91-ე წუთამდე ენთო, მაგრამ მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში შოფმა გალათასარაის საქმე გააკეთა.

გალათასარაი-პორტუ 2:3

სტამბოლი. ტელეკომი

0:1 ფელიპე (17), 0:2 მარეგა (42პ), 1:2 ფეგული (45პ), 1:3 ოლივეირა (57), 2:3 დერდიოკი (65)

67-ე წუთზე ფეგულიმ ვერ გაიტანა პენალტი (ხარიხა)

გალათასარაი სხვის იმედად რომ ა ყოფილიყო, თავისი მატჩი უნდა მოეგო. ეს გადაუჭრელი ამოცანა არ ჩანდა, რადგან პორტუს პირველი ადგილი გარანტირებული ჰქონდა. თუმცა, უმოტივაციო პორტუგალიელებმა ფეარ პლეის წესების დაცვით ითამაშეს და მოიგეს კიდეც.

გალათასარაის კი, ასევე უმოტივაციო შალკემ უშველა, რომელმაც საფინალო სასტვენის წინ გაუტანა ლოკომოტივს და გალათასარაის გზა ევროპის ლიგისკენ გაუხსნა.

საბოლოო ცხრილი:

1.პორტუ	6	5	1	0	15:6	16
2.შალკე	6	3	2	1	6:4	11
3.გალათასარაი	6	1	1	4	5:8	4
4.ლოკომოტივი	6	1	0	5	4:12	3

კინგსლი კომანი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა

მიუნხენის ბაიერნის ფრანგი შემტევი, ნახევარმცველი კინგსლი კომანი, ინტერვიუში აცხადებს, რომ თუ ტერფის არეში მესამე ოპერაციის გაკეთება დასჭირდება, ნაადრევად დაასრულებს საკუთარ საფეხბურთო კარიერას.

კინგსლი კომანი:

– მესამე ოპერაციას არ დავთანხმდებოდი. საკმარისია. თუ ჩემს ფეხს არ უწერია ფეხბურთის თამაში, ესე იგი, ასეთი ბედი მქონია. რთული წელი მქონდა. ყველაფერი თავდაყირა დადგა. ეს ჩემი პირველი ტრავმა იყო. იმედს ვიტოვებ, აწი აღარასოდეს მომიწევს მსგავსი რამის გადატანა. თუ მე მაინც დამჭირდება ტერფზე დამატებითი ოპერაციის გაკეთება, მაშინვე დავასრულებ კარიერას. ასეთ შემთხვევაში უბრალოდ ვერ ვიქნები მზად მაღალ დონეზე საასპარეზოდ.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონში ფრანგმა ნახევარმცველმა ბაიერნის მაისურით 5 მატჩი გამართა, გახდა 1 გატანილი გოლის და 1 საგოლე პასის ავტორი.

შედეგები

11 დეკემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

შალკე-ლოკომოტივი	1:0
გალათასარაი-პორტუ	2:3
ცრვენა ზვეზდა-პსჟ	1:4
ლივერპული-ნაპოლი	1:0
მონაკო-დორტმუნდი	0:2
ბრიუგე-ატლეტიკო	0:0
ბარსელონა-ტოტენჰემი	1:1
ინტერი-პსვ	1:1

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

მშობლებს 32 წლის წინ წართმეული შვილის დაბრუნებაში დაეხმარნენ

ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ქალაქ ცზიგუნში ხელისუფლება მშობლებს ქალიშვილის პოვნაში დაეხმარა, რომელიც მათ 32 წლის წინ წაართვეს.

1986 წლის ივლისში ჩჟოუ იუშენი და მისი ცოლი ცზოუ გუიფანი ოჯახის დაგეგმარების დეპარტამენტში გამოიძახეს. ისინი ადგილზე თავიანთ უმცროს გოგონა, ორი თვის ხუნსიასთან ერთად მივიდნენ. ჩინოსნებმა მათ განუცხადეს, რომ ოჯახს მეორე და მესამე შვილის ყოლის უფლება არ ჰქონდა და მოსთხოვეს ჯარიმის სახით სამი ათასი იუანი გადაეხადათ.

იუშენის თქმით, მათ ასეთი თანხა არ ჰქონდათ. დედა შეეცადა შვილი წაეყვანა, მაგრამ ერთ-ერთმა ჩინოსანმა მას ბავშვი ხელებიდან გამოგლიჯა. თუ რა დაემართა მათ გოგონას ამის შემდეგ, ცოლ-ქმარმა მხოლოდ ახლახან გაიგეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ხუნსია გაშვილებული იყო და მას უშედეგოდ ეძებდნენ ახლომახლო მდებარე ქალაქებში.

ნოემბერში მათი ისტორია ადგილობრივ მას მედიაში გამოქვეყნდა და მათი შვილის ძებნაში ქალაქის ხელისუფლება და ოჯახის დაგეგმარების ადგილობრივი დეპარტამენტი ჩაერთო. მათ მოახერხეს იუშენის და გუიფანის ქალიშვილის პოვნა, რომელიც ამჟამად 32 წლისაა. დნმ-ს ანალიზმა მათი ნათესაობა დაადასტურა.

პოლიციელები აქლემებზე ამხედრდნენ



აბუ-დაბის პოლიციელები აქლემებზე გადაჯდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.

არაბთა გაერთიანებული საემიროების დედაქალაქის პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა მოჰამედ ალ რომაიტიმ განმარტა, რომ სპეციალური პატრულის შექმნა ბედუინური ტრადიციების შენარჩუნებას ემსახურება. მისი თქმით, სამართალდამცავები უმაღლესი სტანდარტების მიხედვით არიან მომზადებულები, რათა მათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა შეასრულონ და საზოგადოებასთან ურთიერთობაც შეეძლოთ.

სპარსეთის ყურის ქვეყნებში ჯიშიანი აქლემის ფლობა მეტად პრესტიჟულად ითვლება. ამ ცხოველებს შორის იმართება სილამაზის კონკურსები – ყველაზე ლამაზი გამოხედვა, კუზი და ა.შ. გარდა ამისა, განსაკუთრებულად ფასობს სადოღე აქლემები, რომელთა ფასმა შესაძლოა მილიონობით დოლარს მიაღწიოს, ისევე, როგორც აქლემების დოღებზე დადებულმა ფსონებმა.

გოგონას 14 წლის წინ ნაპოვნი და პოლიციისთვის ჩაბარებული სამი დოლარი დაუბრუნეს

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ მონმუტ-ბიჩში პოლიციამ 26 წლის გოგონას 14 წლის წინ ნაპოვნი ფული დაუბრუნა.

2004 წელს 12 წლის პეიჯ ვუდიმ ქუჩაში სამი დოლარი იპოვა და პოლიციის განყოფილებაში მიიტანა. მას შემდეგ ეს თანხა იქ ინახებოდა, ხოლო ვინაიდან მას პატრონი არ გამოუჩნდა, გადაწყდა მპოვნელისთვის დაებრუნებინათ.

პოლიციელების მოულოდნელმა სტუმრობამ ვუდი შეაშინა.

– ისინი მეკითხებიან: „გახსოვთ, რა გააკეთეთ 2004 წელს?“ – ყვება გოგონა, – შევეცადე გამეხსენებინა, თუ რა მოხდა 2004 წელს, არადა მაშინ რაიმე იმდენად ცუდის გაკეთება არ შემეძლო, რომ პოლიციასთან მქონოდა საქმე.

მაშინ მას პოლიციელებმა შეახსენეს, რომ ქუჩაში ფული იპოვა, რომელიც მან პოლიციას ჩააბარა და კონვერტში ჩადებული ის სამი დოლარი გაუწოდეს.

– ეს საშობაო სასწაული იყო, – განაცხადა ვუდმა.

უნიტაზში ჩავარდნილი ბეჭედი პატრონს ცხრა წლის შემდეგ დაუბრუნეს

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ სომერს-პოინტში იპოვეს ბრილიანტისთვლიანი საქორწინო ბეჭედი, რომელიც ცხრა წლის წინ უნიტაზში ჩავარდა.

სომერს-პოინტის მკვიდრმა პოლა სტენტონმა ბეჭედი 2009 წელს ტუალეტის რეცხვის დროს დაკარგა. ქალმა გვიან შენიშნა, რომ ბეჭედი თითზე აღარ ეკეთა და გადაწყვიტა, რომ ის სამუდამოდ დაკარგა.

ცხრა წლის შემდეგ კომუნალური სამსახურის თანამშრომელი ტედ გოგოლი საკანალიზაციო ჭის მახლობლად, მისი სახლიდან 120 მეტრში, რემონტს აკეთებდა, როდესაც სიბინძურეში ბრჭყვიალა საგანი შენიშნა და რომელიც ოქროს ბეჭედი აღმოჩნდა.

გოგოლი მიხვდა, რომ ეს სწორედ ის ბეჭედი იყო, რომელსაც სტენტონი ახსენებდა და ნაპოვნი ქალს გადასცა. მან ბეჭედი წყალბადის ზეჟანგსა და ლიმონის წვენში გამოხარშა და ახლა მას ისევ ატარებს.

სპორტი

რეალმა თვალი მატას დაადგა

მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელმა ნახევარმცველმა ხუან მატამ კარიერა შესაძლოა ესპანურ გრანდში, კერძოდ კი, მადრიდის რეალში გააგრძელოს.

ესპანური მედიის ცნობით, მადრიდელთა თავკაცმა, სანტიაგო სოლარიმ კლუბის ხელმძღვანელობას უკვე აცნობა ესპანელი ფეხბურთელის შესახებ. ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა სულ უფრო და უფრო ახლოვდება, სოლარი მატას გადმობირებას იანვარშივე ეცდება.

მატას ამჟამინდელ კლუბთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ შეუთანხმებია, ხოლო ვადები მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურება.

სოლარის აზრით, ხუან მატას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ისკოს ჩანაცვლება შეუძლია, რომელიც სათადარიგო სკამის უცვლელი წევრი გახდა. მედიის ცნობით, ფეხბურთელმა წონაში მოიმატა, ხოლო სანტიაგომ ამ ყველაფერს მისი გვარის ძირითადიდან ამოღებით უპასუხა.

ხუან მატამ აქამდე პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში განაცხადა, რომ მას პრემიერ ლიგაში დარჩენა სურს.

ხუან მატა:

– ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ინგლისში ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. მე საოცარ კლუბში ვიმყოფები და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ვნახოთ, რა მოხდება მომავალში, მაგრამ ამჟამად თავს კარგად ვგრძნობ და არაფერს ვაპირებ.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ზოოპარკში სპილოს სავალალო მდგომარეობამ დამთვალიერებლებს გული ატკინა

ტაილანდის ზოოპარკში ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა ვიდეოზე გადაიღო სავალალო მდგომარეობაში მყოფი სპილო, რომელიც სხვადასხვა ილეთებს ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დამთვალიერებლები ცხოველების სავალალო მდგომარეობის გამო წუხან.

ვიდეორგოლი რამდენიმე დღის წინ სამუტპრაკანის პროვინციაში ადგილობრივ ნიანგების ფერმასა და ზოოპარკშია გადაღებული. ვიდეოზე აღბეჭდილი სპილო, რომელიც ისეთი გამხდარია, რომ ძვლები ეტყობა, სკამებზე ბალანსირებს და ვიწრო მილებზე დადის. ვიდეოს ავტორმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ცხოველის მდგომარეობის გამო შეშფოთება გამოხატა.

– სპილო გამხდარია და სუსტად გამოიყურება. ძალიან შემეცოდა. ჩემი აზრით, მას სასწრაფოდ დახმარება სჭირდება, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა და იქვე დაამატა, რომ არაფერი ცუდის თქმა არ აქვს განზრახული თავად ზოოპარკთან მიმართებაში და ვარაუდი გამოთქვა, რომ შესაძლოა დაწესებულების ადმინისტრაციას ფინანსური პრობლემები აქვს და ამიტომ ხალხს მოუწოდა, რომ სპილოს თავად დაეხმარონ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ერთ დროს საკმაოდ პოპულარული ზოოპარკი სწრაფად კარგავს დამთვალიერებლებს. ზოოპარკის წარმომადგენლის თქმით კი, მათ ცხოველებს ჯანმრთელობის პრობლემები არ აქვთ, კარგად იკვებებიან და ყოველდღე წარმოდგენებში მონაწილეობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 დეკემბრისათვის

ვერძი – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კურო** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **კირჩხიბი** – პარტნიორის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება იოლი არ იქნება. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ. **ქალწული** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **სასწორი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ღრიანკალი** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. კუთხე საქართველოში; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი, მცირე ზომის ციური სხეული; 5. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. პროვინცია ირანში; 17. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 19. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 21. დრამატული ნაწარმოები; 22. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი.

თარაზულად: 2. კინოცენტრი იტალიაში; 5. ვახტანგ გორგასლის ვაჟი; 7. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიდა დახურული ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. იაპონური აბანო; 20. ფრანგული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია; 22. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რევანში; 2. კრკა; 3. ფიატი; 4. ენეიდა; 6. ფაგოციტი; 9. მყვარი; 13. ლახვარი; 14. კაბერნე; 15. აწყური; 17. ვალიო; 18. კინტო; 20. ყაჭი.

თარაზულად: 1. რეკორდი; 5. გრაფი; 7. ჰილტონი; 8. ვაკუუმი; 10. ტანგო; 11. ტოკაი; 12. აკვანი; 16. შამოტი; 17. ვისკი; 19. ხალი; 21. წულაძე; 22. ჯიბუტი; 23. ფინიკი; 24. გელათი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. უმეცარი; 3. ხვაშიადი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაიბეი; 19. ტავერნა; 21. ვისკი; 22. წაბლი.

თარაზულად: 1. ცუცხვათი; 5. მექა; 7. ჯაფარა; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტი; 13. ანორაკი; 16. ნიკოლაძე; 17. ტილი; 18. სტელა; 20. სინოპეკი; 22. წინდა; 23. გერგეტი; 24. უემბლი; 25. კრონა.

გია ყანჩელი დააჯილდოვეს

კომპოზიტორი გია ყანჩელი დააჯილდოვეს. ხელოვანმა „საუკუნის სახელის“ პრიზი მიიღო. მასთან ერთად ის ადამიანები დაჯილდოვდნენ, რომლებმაც ქართული საქმისთვის მოღვაწეობისას განსაკუთრებული კვალი დატოვეს.

გია ყანჩელთან ერთად პრიზის მფლობელები გახდნენ ენათმეცნიერი მზექალა შანიძე, მხატვარი დიმიტრი ერისთავი, ფერმწერი და სცენოგრაფი გოგი ალექსი-მესხიშვილი და რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი.

მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:

– ქართული კინოს, ქართული მუსიკის და მთლიანად ქართული ხელოვნების და კულტურის საქმიანობის აღნიშვნა ჯილდოთი უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ვფიქრობ, ქართული კულტურის მნიშვნელობა დღეს ერთ-ერთი გადამწყვეტია საქართველოსთვის.



გოგი ალექსი-მესხიშვილი, სცენოგრაფი:

– ჩვენი ქვეყნის მომავალი არის კულტურა, მაგრამ განსაკუთრებით განათლება. განათლებული ერი არასდროს ბრბოდ არ გადაიქცევა. არაჩვეულებრივი ახალგაზრდობა გვყავს. მათ სჭირდებათ დიდი მხარდაჭერა, განსაკუთრებით პროვინციაში. ამოვუდგეთ გვერდში და ვიზრუნოთ განათლებაზე.“

მზექალა შანიძე, ენათმეცნიერი:

– ეს ჯილდო მეკუთვნის არა იმდენად პირადად მე, რამდენადაც იმ საქმეს, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ქართული ენა არ ეკუთვნის მარტო ენათმეცნიერებს, ქართული ენა ეკუთვნის მთელ ქართველ ერს და მასზე ზრუნვა ყველა ადამიანის მოვალეობაა. რამდენ ხანსაც მექნება შესაძლებლობა, ამ საქმეს ხელს არ დავაკლებ.

გია ყანჩელი, კომპოზიტორი:

– ქალბატონმა მზექალამ ქართულ ენაზე ისაუბრა და მის მოვლა-პატრონობაზე. მე მინდა გთხოვოთ, რომ არანაკლები მოსავლელია ქართული ფოლკლორი, ის არ ჩამოუვარდება ჩვენს ენას. ჯერჯერობით გვყავს ანზორ ერქომაიშვილი, რომელიც ამას პატრონობს და უვლის. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც, ისევე გაუფრთხილდება ჩემი ერი ჩემს ენას, როგორც ქართულ ფოლკლორს.

არმაზისხევში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით არმაზისხევში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე მესაკუთრემ აწარმოა მიწის სამუშაოები, კერძო ბინათმშენებლობისათვის გაჭრა ქვაბული. მიწის სამუშაოების შედეგად დაზიანდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის სამაროვანის ნაწილი. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსულ უხვი ნალექების გამო გაშიშვლდა და დანგრევის საფრთხე დაემუქრა ქვაბულის ჭრილებში გამოჩენილ სამარხებს.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ქვაბულის ჭრილებში გამოვლენილ სამარხთა ნაშთებში აღმოჩენილი ინვენტარი პარალელებს პოულობს როგორც საკუთრივ მცხეთის, ისე ქართლის ტერიტორიაზე გამოვლენილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა სამაროვნებზე წეროვანი, ნარეკვავი, სამთავრო, მოპოვებული სამარხეული ინვენტარი ზოგადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით უნდა დათარიღდეს.

შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის სამაროვნის ნაშთებთან, რომლის შესწავლა მოხდა არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგიის სრული დაცვით. აღნიშნულიდან გამომდინარე მესაკუთრეს შესაძლებლობა მიეცა მოცემულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური მეთვალყურეობის ქვეშ.

არმაზისხევის არქეოლოგიური ველი მდებარეობს არმაზისხევისა და მდინარე მტკვრის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ერთ-ერთ ტერასაზე.

არმაზისხევი ახალი წელთაღრიცხვით II-IV საუკუნეების ქართლის ერისთავთა პიტიახშთა რეზიდენციას წარმოადგენდა. თუმცა ამ ტერიტორიაზე დადასტურებულია უფრო ადრეული და მომდევნო პერიოდის კულტურული ფენებიც: აღნიშნულ ტერიტორიაზე მიკვლეულია ენეოლითის პერიოდის ობსიდიანის იარაღის სახელოსნოს ნაშთები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები, II-IV და IV-IX საუკუნეებით დათარიღებული სამაროვნები. ძირითადი უბნის შუაგულში თავმოყრილია ერისთავთა და სხვა მდიდრული სამარხები, აგრეთვე II-III საუკუნეებით დათარიღებული ღარიბული სამარხები.

არმაზისხევის ერისთავთა რეზიდენცია დღეს წარმოდგენილია აბანოს, სასახლისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთების, ერისთავთა და მათი ოჯახის წევრთა სამარხებით.

დემნა გვასალია აქსესუარების საუკეთესო დიზაინერად დაასახელეს

ბალენსიაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელი დემნა გვასალია აქსესუარების საუკეთესო დიზაინერად დაასახელეს 2018 წელს.

ამ კატეგორიაში დემნასთან ერთად ნომინირებულები იყვნენ ალესანდრო მიკელე – გუჩის შემოქმედებითი ხელმძღვანელი, მარია გრაცია ქიური – დიორის ქალის ხაზის შემოქმედებითი ხელმძღვანელი, მიუჩია პრადა – პრადას შემოქმედებითი ხელმძღვანელი, ჯონათან ანდერსონი – ლუევეს შემოქმედებითი ხელმძღვანელი.

ქართველმა დიზაინერმა შეძლო და აჯობა გუჩის მიკელეს, დიორის მარია გრაციას და მიუჩია პრადასაც, მაგრამ დაჯილდოების დროს სცენაზე არ გამოჩენილა, რადგან დაჯილდოების ცერემონიალს არ ესწრებოდა.

ცნობილი ფაქტია, რომ დემნა დაჯილდოებებს არ ესწრება. კამერები, სცენა და ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს, ამიტომაც ჯილდო დემნას სახელით ფრანგული მოდის უგვირგვინო დედოფალმა კარინ როიტფელდმა მიიღო.

ასმათ ტყაბლაძე კახა კალაძეს: „მიხედეთ ქიაჩელის ქუჩას!“

მსახიობი ასმათ ტყაბლაძე თბილისის მერს კახა კალაძეს ქიაჩელის ქუჩის მიხედვას სთხოვს:

– მიხედეთ ქიაჩელის ქუჩას, მშენებლობამ მოწამლა და დააავადა მოსახლეობა, სამშენებლო მტვერი, ბეტონის მანქანების დამონაბოლქვი და ა.შ. გთხოვთ შეხვდეთ მოსახლეობას. თქვენ ხომ თბილისელების მერი ბრძანდებით. ვალდებული ხართ შეხვდეთ ხალხს. ისე ამბობენ, რომ თქვენ ხართ დაინტერესებული ამ მშენებლობით.

მურმან ჯინორია საქართველოში გასტროლებს იწყებს

რუსთაველის თეატრის მსახიობი მურმან ჯინორია საქართველოში გასტროლს იწყებს.

13 დეკემბრიდან მსახიობი თავისი მონოსპექტაკლით „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ საქართველოს მაყურებელთან შეხვედრას ჩოხატაურის ხელოვნების სასახლიდან დაიწყებს.

ჩოხატაურიდან მსახიობი სენაკში ჩავა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შეხვდება მაყურებელს. მოგვიანებით კი ზესტაფონში უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრში გადაინაცვლებს.

სპექტაკლი ოთხი პირობითი ნაწილისგან, წელიწადის დროებისგან შედგება. ყველა მათგანში შესულია ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ყოველი სეზონი ასოცირდება სხვადასხვა ხასიათისა და სტილის ავტორების შემოქმედებასთან. გაზაფხული ტერენტი გრანელთან, ზაფხული გურამ რჩეულიშვილთან, შემოდგომა მისთვის ჩვეული სიჭრელით აერთიანებს ტატო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებას. ზამთარი კი მსახიობისთვის გალაკტიონ ტაბიძესთან ასოცირდება.

– ამ სპექტაკლით მინდა ჩვენი ახალგაზრდობა მივუახლოო ქართულ გენეტიკურ მახსოვრობას, – ამბობს მსახიობი მურმან ჯინორია.

გამარჯობა! — ასე სცემენ პატივს ქართულ ანბანს კორეაში

კორეის ქალაქ სეულში ქართული ანბანისადმი პატივისცემა ადგილობრივებმა სპეციალური ბარელიეფის ქართულ ენაზე შესრულებით გამოხატეს.

ამ ქალაქში ასეთი კიდევ 13-ია და ყველა სხვადასხვა ენაზეა შესრულებული.

სეულში იდეის ავტორებმა ამ ჩანაფიქრით მსოფლიოში არსებული 14 ანბანის პოპულარიზაცია მოახდინეს.

კესარიას უცხო ადამიანები ფულს სთხოვენ

კესარია აბრამიძეს სრულიად უცნობი ადამიანები ფულს სთხოვენ. ინფორმაცია ამის შესახებ კესომ თავად გაავრცელა:

– რა მაინტერესებს ახლა, აბსოლუტურად უცხო ადამიანები ასეთ ტექსტებს – მასესხე ფული, რატომ მწერთ დღეში 200 კაცი, ვერ მივხვდი. ან უბრალოდ ფეისბუქ მეგობრები, ნაცნობები, ყველა. ყოველდღიურად მომდის უამრავი მსგავსი წერილი. საქართველოს ბანკი მიწერია თუ რა თავხედობაა. აბა ერთი ხერხემალს ხელი ჩააყოლეთ კარგად.

ბესიკ დუღაშვილი: „საინფორმაციოებზე რატომ არ გვაფრთხილებს ჯანდაცვა“

მხატვარი ბესიკ დუღაშვილი ჯანდაცვის სამინისტროსგან მოითხოვს, გააფრთხილოს მოსახლეობა, რომ საინფორმაციოების ყურება ნევროზს და ფსიქიკურ აშლილობას იწვევს:

– როცა სიგარეტზე აწერია ჯანდაცვა გაფრთხილებსო, საინფორმაციოებზე რატომ არ გვაფრთხილებს ჯანდაცვა და რატომ არ აწერია: იწვევს ნერვოზს, ფსიქიკურ აშლილობას, განაწყობს გინება-ფურთხებალანძღვაზე და არაა გამორიცხული ინფარქტიო?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ონისე ქელეხსათი, ოთარ ჭკადუა, თენგიზ კვიციანი იზიარებენ ოთარ ჭკადუას მწუხარებას მძახლის, ღვაწლმოსილი ინჟინერ-მშენებლის, ღირსეული მოქალაქის, ბატონი

ვალერიან (ვალიკო) დორეულის

გარდაცვალების გამო.

დალი, პეტრე ბერაიები შვილებით შალვა, ნანა, რძალი ლიკა გაგნიძე მწუხარებას გამოთქვამენ დემურ გადელიას სიძის

შოთა ხარებავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯალეიდოსკოპი

სკოლის ავტობუსზე დაგვიანებული ბავშვები მამას გამდიდრებაში დაეხმარნენ

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი ბავშვების წყალობით მოხსნა, რომლებსაც სკოლის ავტობუსზე დაგვიანდათ.

კევინ ფენვიკი ლატარიის ბილეთებს ყოველდღე ერთსა და იმავე მაღაზიაში ყიდულობდა, მაგრამ ერთხელაც იძულებული გახდა საკუთარი ჩვევისთვის გადაეხვია, ვინაიდან მისმა შვილებმა სკოლის ავტობუსზე დააგვიანეს. 58 წლის მამაკაცმა ისინი მანქანით წაიყვანა, შემდეგ კი სამსახურისკენ მისთვის უჩვეულო მარშრუტით გაემართა, გზად კი მაღაზიებს ათვალიერებდა და ეძებდა, თუ სად შეიძლებოდა ლატარიის ბილეთების ყიდვა.

ბოლოს და ბოლოს, ფენვიკმა ასეთ მაღაზიას მიაგნო და ხუთ დოლარად ბილეთი შეიძინა. მან დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ 50 ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული.

– საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი! ავდექი და გავიარ-გამოვიარე, შემდეგ ისევ დავჯექი და ბილეთი წინ დავიდე, თუმცა წარწერა 50.000 არსად გამქრალა, – განაცხადა ფენვიკმა.

ფენვიკმა მაშინვე მეუღლეს დაურეკა, მაგრამ მან არ დაუჯერა, ვინაიდან ადრე მეუღლემ რამდენჯერმე მოატყუა, რომ დიდი თანხა ჰქონდა მოგებული.

ამერიკელის თქმით, ეს მოგება სწორედ, რომ დროული იყო, ვინაიდან ფინანსური პრობლემების გამო, რამდენიმე დაწყებული საქმის დასრულება ვერ შეძლო და ახლა მათ აუცილებლად დაასრულებს.

„ზვიგენის სატყუარად“ წოდებული სერფერი მის ნადავლად იქცა

ავსტრალიაში ზვიგენმა დაკბინა სერფერი, რომელიც დილით ადრე მარტო ვარჯიშობდა.

ინციდენტი ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ნამბუკ ჰედსში მოხდა. 36 წლის ჯოელ მეისონი ადგილობრივი დროით დილის შვიდ საათზე პლაჟზე მივიდა, რათა სერფინგით ევარჯიშა. ზღვაში მას თავს დაესხა ზვიგენი და ფეხზე უკბინა. მამაკაცმა უახლოეს ნაპირამდე მიღწევა და წყლიდან ამოსვლა მოახერხა, იქ კი ის შემთხვევითმა გამვლელმა შენიშნა და სასწრაფო გამოიძახა.

ექიმებმა სერფერს დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვეულმფრენით უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მამაკაცს ფეხზე ზვიგენის კბილებისგან მიყენებული ხუთი ნაფლეთი ჭრილობა აღენიშნება. სერფერმა მოთმინებით და მშვიდად გადაიტანა მკურნალობა, მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ჯოელის მამის, რობის თქმით, მისი შვილი სერფინგით ბავშვობიდანაა გატაცებული და უკვე ხუთი-ექვსი წლისა დაფაზე თავს დამაჯერებლად გრძნობდა.

– მას ტალღებზე სრიალი დილით ადრე სრულ მარტოობაში უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტად სახიფათოა. ის საკუთარ თავს „ზვიგენის სატყუარას“ ეძახდა და ნებისმიერი რისკისთვის მზად იყო, – აღნიშნა ჯოელის მამამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6594

ევრო — 3.0144

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3346

100 რუსული რუბლი — 4.0028

ამინდის პროგნოზი 13 დეკემბრისთვის

იურგენ კლოპი: „ალისონმა გადაგვარჩინა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ნაპოლისთან გამარჯვება დაიმსახურა, თუმცა შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო, რომ არა ალისონი.

– ძალიან ბევრი ვინერვიულე, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. ბოლო წუთებზე კინაღამ გავუშვით და ყველამ ალისონს უნდა ვუთხრათ მადლობა, რომ ასე არ მოხდა. ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ და შევეცდებით, რომ ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს წავიდეთ, – განაცხადა კლოპმა.

ლივერპულმა ნაპოლი 1:0 დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა.

ჰარი კეინი: „ტოტენჰემმა თითქმის შეუძლებელი შეძლო“

ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა განაცხადა, რომ ბარსელონაში მოპოვებული ფრე მისი გუნდისთვის ისტორიული შედეგია და ის ამაყობს, რომ ამ ისტორიის ნაწილი გახდა.

კეინის თქმით, ტოტენჰემს ევროპაში ყველა გუნდთან შეუძლია მოგება:

– პირველი სამი ტურის შემდეგ რთული წარმოსადგენი იყო, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდოდით, მაგრამ ამის გაკეთება შევძელით. ბარსელონასთან ფრე ისტორიული შედეგია და ჩვენ ამით ვამაყობთ. მერვედფინალში ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია გამარჯვება. ტოტენჰემმა ბარსელონასთან 1:1 ითამაშა და ინტერის წაფორხილებით ისარგებლა, რომელმაც საკუთარ მოედანზე პსვ-ს ვერ მოუგო.

ჟერარ პიკე ესპანურ გუნდს ყიდულობს

ბარსელონას მცველი ჟერარ პიკე აპირებს, რომ დაბალ დივიზიონში მოასპარეზე ესპანური კლუბი იყიდოს და აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებას ამ კლუბთან, თუმცა გუნდის ვინაობა არ სახელდება.

– მინდა, რომ ესპანურ კლუბში ინვესტიცია ჩავდო და გუნდის მომავალზე ვიზრუნო. ყველაფერი რეალურია და შეიძლება მალე მფლობელიც გავხდე, თუმცა დეტალებზე არ ვისაუბრებ, – განაცხადა პიკემ.

ბარსელონას მცველმა ასევე თქვა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ბიზნესში აპირებს ძალების ცდას.

ვან დეიკი: „მერტენსის წინააღმდეგ უხეშად თამაში არ მინდოდა“

ლივერპულის მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა ნაპოლისთან შეხვედრის ერთ-ერთ ეპიზოდზე ისაუბრა, როდესაც მან დრის მერტენსს კინაღამ ტრავმა მიაყენა.

ვან დეიკის თქმით, მას არ სურდა, რომ მერტენსისთვის ტრავმა მიეყენებინა და მან ბურთზე ითამაშა:

– იმ ეპიზოდში ჯერ ბურთს შევეხე, უბრალოდ შემდეგ გავსრიალდი და მერტენსს კინაღამ ტრავმა მივაყენე. ძალიან მიხარია, რომ მერტენსი არ დაშავებულა. შეხვედრა ძალიან კარგად ჩავატარეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ.

იკერ კასილიასმა ჩემპიონთა ლიგაში მე-100 შეხვედრა მოიგო



ლეგენდარულმა ესპანელმა გოლკიპერმა იკერ კასილიასმა ჩემპიონთა ლიგაში მე-100 შეხვედრა მოიგო.

წლების მანძილზე იკერი მადრიდის რეალის ღირსებას იცავდა, სადაც მან ჩემპიონთა ლიგა სამჯერ მოიგო და უამრავი შეხვედრა ჩაატარა.

ამჟამად კასილიასი პორტოს ღირსებას იცავს და ასევე თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში.

პორტომ სტუმრად გალათასარაი დაამარცხა 3:2 და ეს გამარჯვება იკერისთვის მე-100 გამოდგა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი გოგო მეორეს ეჩხუბება და ეუბნება:

– შენ რომ ბნელ ჩიხში მთვრალი კაცების ჯგუფი შეგხვდეს, რას გიზამენ, იცი?

– მაინც რას?

– არაფერს!

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, ცოლს რომ მოიყვან, მაშინ მიხვდები, რა არის ბედნიერება!

– მართლა, მამი?

– ჰო, შვილო, მაგრამ უკვე გვიან იქნება...

●●●

ოჯახს ბინის გარემონტება სურს და ცოლი ქმარს ეუბნება:

– ჩვენ დაბლა მეზობელმა ახლახან გაარემონტა თავისი ბინა. მისი ბინა ხომ ზუსტად ჩვენნაირია, ჰოდა, მიდი და ჰკითხე, რამდენი „რულონი“ შპალერი იყიდეს.

ქმარი მივიდა მეზობელთან და ჰკითხა, მან კი უპასუხა, რომ 15 „რულონი“ შპალერი იყიდეს.

მათაც 15 „რულონი“ შპალერი იყიდეს, გააკრეს კედელზე და 5 ცალი დარჩათ. ქმარი მეზობელს შეხვდა და ეუბნება:

– ვერაფერი გამიგია, ერთნაირი ბინები გვაქვს, ერთი ზომის და 5 „რულონი“ დაგვრჩა.

– მაგაზე არ ინერვიულო, ყველაფერი ნორმალურადაა, ჩვენც 5 „რულონი“ დაგვრჩა.

●●●

ორნი მდინარეზე თევზაობენ. ამ დროს ტყიდან დათვი გამოვარდა და მათკენ გამოქანდა. ერთმა სასწრაფოდ გაიძრო ჩექმები და ბოტასებს იცვამს. მეორე ეუბნება:

– აზრი არ აქვს, დათვზე სწრაფად მაინც ვერ გაიქცევი.

– დათვზე სწრაფად გაქცევა არც მჭირდება, მთავარია შენზე სწრაფად გავიქცე!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მხატვარის წყენინება ნებისმიერს შეუძლია.

– მერე, შენ ხომ მხატვარი არ ხარ?

– აი, ისევ!

●●●

პოლიციელები შემთხვევის ადგილზე ოქმს ადგენენ. უფროსი თანაშემწეს ეუბნება:

– ჩაწერე, ცხედარს სხეულზე აღენიშნება ხუთ და ათთეთრიანის ზომის ლაქები. სულ სამი ლარის და 20 თეთრის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

მომაკვდავი მელას გადარჩენა ბრიტანელს სამსახურის დაკარგვად დაუჯდა

ინგლისის უესტ-იორკშირის საგრაფოს მცხოვრები სამსახურის გარეშე იმის გამო დარჩა, რომ მელას გადასარჩენად სამსახურში მისვლა დაგვიანა.

56 წლის ენდრიუ ჰეიგი ქალაქ ბეტლის სასურსათო მაღაზიაში მუშაობდა. სამსახურის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, დილის ხუთ საათზე სამუშაოზე მიმავალმა შოსეზე დაჭრილი მელა შენიშნა. მან გადაწყვიტა ცხოველს დახმარებოდა. ის ხელში აიყვანა და ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანა. გზაში ცხოველმა მას თითზე უკბინა.

მამაკაცმა უფროს დაურეკა და უთხრა, რომ დააგვიანდებოდა და მიზეზიც აუხსნა. მან კი ურჩია, რომ მელა გზაზე მიეტოვებინა და სამსახურში გამოცხადებულიყო.

– სინდისმა არ გამიშვა, რომ ეს საცოდავი ცხოველი მიმეტოვებინა, ასე რომ, უმუშევარი დავრჩი, – განაცხადა ჰეიგმა.

მალე მას თავად დასჭირდა მკურნალობა, ვინაიდან მელას ნაკბენზე ანთებითი პროცესი დაეწყო. თავად ცხოველი კი, მიუხედავად ვეტერინარების ძალისხმევისა, მიღებული ტრავმებისგან დაიღუპა. ჰეიგმა სხვა სამსახურის პოვნა ვერ შეძლო და ახლა ცდილობს, რომ იპოთეკისთვის ინტერნეტის დახმარებით 500 ფუნტი სტერლინგი შეაგროვოს, რათა უბინაოდაც არ დარჩეს.

ერთი დოლარის ქრთამის გამო ჩინოსანი სასამართლოს წინაშე წარდგება

სინგაპურში სახელმწიფო მოხელე ჩენ ცზილიანის ქრთამის აღების ბრალდება მას შემდეგ წაუყენეს, როდესაც ის სატვირთოს მძღოლისგან ერთი დოლარის მიღებას შეეცადა.

47 წლის ჩინელი სახელმწიფო ფირმაში უფროს ოპერატორად მუშაობს, რომელიც სატვირთო კონტეინერების მომსახურებითაა დაკავებული. მამაკაცს კორუფციის ორ ეპიზოდში ედება ბრალი. კერძოდ, საუბარია 2017 წლის ოქტომბერში მომხდარ ინციდენტზე. მას სატვირთო მანქანის მძღოლმა სთხოვა, არ შეეფერხებინა მისი სატრანსპორტო საშუალების გადმოტვირთვა.

ამ დროისთვის მიმდინარეობს ცზილიანის საქმიანობის შემოწმება 2014 წლიდან დღემდე. ქრთამის აღებაში ასევე ეჭვმიტანილი და დაკავებულია მისი კოლეგაც. საქმის სასამართლო განხილვა მომავალი წლის იანვარში გაიმართება. კორუფციისთვის სასჯელი ხუთ წლამდე პატიმრობას და ყოველ ეპიზოდზე 100 ათასი დოლარის ჯარიმას განიხილავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უკიდურესი, თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტაცება; 2. სამკითხაო ბანქო; 3. საწვავად, სასუქად გამოყენებული ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 4. სამეცნიერო ხარისხი საფრანგეთში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 15. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 17. შრომის სადიდებელი ქართული ხალხური სიმღერა; 18. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მატყლის სართავი პრიმიტიული ხელსაწყო.

თარაზულად: 1. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 5. ლუთერანული ეკლესია; 7. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერი; 8. სპორტული სირბილი მოკლე დისტანციაზე; 10. აზროვნების ორგანო; 11. მდინარის, ხევის ჩანგრეული ნაწილი; 12. კუთხე საქართველოში; 16. თაღლითი ბანქოს თამაშში; 17. მუსლიმანურ ქვეყნებში გავრცელებული კალენდარი; 19. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 21. ქულა ძიუდოში; 22. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. მთიანეთი შუა-აზიაში; 24. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა